

"24 საათის" ფიქიანი ნომერი
***2424**

დაკავშირებული ღირსი და
უკან გაბრუნებული
დაკავშირებული
A2



პიკასო თუ
თარგამაძე
A11



რა პრობლემაა!
A11



24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
ჩვენ ვაძლევთ ურთიანეთს

გაერთიანებული რეალობა

საქართველოს ელექტროენერგეტიკის ეროვნული კომპანია

სრული სიბიჟის საფრთხე

ახალი ომის პროგნოზი რუსი ექსპერტებისგან

საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ახალი აგრესიის შესაძლებლობაზე როგორც რუსი, ასევე დასავლელი ექსპერტები ალაპარაკდნენ. გაერო-სა და ეუთო-ს მისიების გაძევება კონფლიქტური ზონებიდან; მასშტაბური სამხედრო წვრთნები საქართველოს საზღვრებთან; ობამა-მედვედევის დაგეგმილი შეხვედრა და კრემლის სურვილი - დასავლეთისთვის საკუთარი ძალების დემონსტრირება მოაწყო, სუსტი საერთაშორისო რეაგირების გათვალისწინებით შარშანდელ აგრესიაზე - ეს ყოველივე, ექსპერტების აზრით, ახალი ომის საშიშროებაზე მიანიშნებს.

დიმიტრი ავალიანი

"იქნება ახალი ომი საქართველოსთან?" - ასეთი სათაურით აქვეყნებს სტატიას ცნობილი რუსი მიმომხილველი იულია ლატინინა.

იგი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ რუსული ვეტოს წყალობით, ეუთო-ს მისია საქართველოში 30 ივნისს საქმიანობას წყვეტს. 15 ივნისს კი რუსეთმა ასევე ვეტო დაადო გაერო-ს მისიის გაგრძელებას.

ამავე დროს, რუსეთის გენერალური შტაბის უფროსი ნიკოლაი მაკაროვი, რომელიც გასული წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ ომს მეთაურობდა და ამჟამად წვრთნების - "კავკასია 2009" ხელმძღვანელობას უნდა შეუდგეს, აცხადებს, რომ "საქართველო იარაღს აუღარუნებს და ტერიტორიული პრობლემების ძალისმიერი გზით მოგვარებისთვის ემზადება," - აღნიშნავს ლატინინა.

"ჩნდება კითხვა: თუ საქართველო ომის დაწყებას აპირებს, რატომ არ ზოგავს რუსეთი ძალებს რეგიონიდან დამკვირვებლების

გასაძევებლად, რომლებიც ომის დაფიქსირებას შეძლებენ, რომ ომი საქართველომ დაიწყო?" - კითხულობს მიმომხილველი.

ლატინინას მიაჩნია, რომ სალი აზრის თვალსაზრისით, საქართველოსთან ახალი ომი რუსეთისთვის სრული სიგიჟეა. თუმცა, ასეთივე სიგიჟე იყო უკრაინასთან "გაზის ომის" გაჩაღება, რომელმაც რუსეთს მილიარდობით დოლარიანი ზარალი და ევროპის გაზის ბაზარზე თავისი წილის 31-დან 16 პროცენტამდე შემცირება მოუტანა.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე

საკანონმდებლო ცვლილებები ცდუნების დასაძლევად

დათო გაბისონია

გუშინ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებმა და მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტის ავტორის რეზიდენციაში, უსაფრთხოებისა და ეკონომიკის საკითხებთან ერთად, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის საკითხი განიხილეს.

კერძოდ, დაგეგმილია კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, რათა არც ერთ სახელმწიფოს არ მიეცეს საქართველოს შიდა საქმეებში უხეშად ჩარევის საშუალება. თუმცა, უმრავლესობის წევრებმა დასძინეს, რომ დაფინანსების საკითხში ცვლილებების შეტანა პარტიების თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე არ უნდა მოხდეს.

ბაზრძალაბა A2 გვერდზე



ოპოზიციის კონტრპეტა

გამომხატულება პრეზიდენტის ინიციატივაზე

მმართველი პარტიის დაფინანსება არ გახდება გამჭვირვალე, მანამდე ნებისმიერი ინიციატივა იქნება ბლეფი და ოპოზიციის შევიწროვების მცდელობა.

მემარჯვენე მამუკა კაციტაძის შეფასებით, დაფინანსების გამჭვირვალობის საკითხი მეტად აქტუალურია, ოღონდ ნაციონალურთან დაკავშირებით. უკანასკნელი ექვსი წელი ნაციონალური მოძრაობა აბოლუტურად გაუმჭვირვალე

ბიუჯეტით არსებობს - იგი ხან სოროსის ბიუჯეტით იკვებება, ხან ტარიელ ონიანის ბიუჯეტით, ხანაც სახელმწიფო ბიუჯეტით.... ასე რომ, თუ პრეზიდენტმა პრობლემის გადაჭრა მმართველი პარტიიდან არ დაიწყო, მისი შრომა ფუჭი აღმოჩნდება, ვინაიდან ოპოზიციურ პარტიებთან მიმართებაში ისედაც ყველაფერი გამჭვირვალეა, - განუცხადა მემარჯვენე პოლიტიკოსმა 24 საათს.

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელ ლევან ვეფხვაძის შეფასებით, დღეს არსებული საკანონმდებლო მექანიზმები თავისუფლად უზრუნველყოფენ პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების გამჭვირვალობას. ამასთანავე, ვეფხვაძემ 24 საათთან საუბრისას ერთ უხერხულ მომენტზეც გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, როცა დღევანდელ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საზოგადოებაში რეპუტაცია შელახული აქვს, მიზანშეუწონელია, ცესკო-მ სხვები აკონტროლოს.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე

“ეკლესია ყველაფერს გააკეთებს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების გასაუმჯობესებლად”

საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია “ყველაფერს გააკეთებს რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების ნორმალიზაციისა და მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობების გასაუმჯობესებლად”. ეს განცხადება სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ რუსეთთან მოსაზღვრე ყაზბეგის რაიონში მშენებარე მონასტრის მონახულებისას გააკეთა. ყაზბეგის რაიონში სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა 2007 წლიდან მიმდინარეობს. პარტიარქმა ბრძანა, რომ მონასტრის მშენებლობა “ძალიან მნიშვნელოვანი და ღირშესანიშნავი მოვლენაა”. მისივე თქმით, სწორედ ეს სამონასტრო კომპლექსი უნდა გახდეს ქართველ და რუს ხალხს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების სიმბოლო.” “საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია გააგრძელებს აქტიურ ძალისხმევას საქართველოსა და რუსეთს შორის ნორმალური ურთიერთობების აღსადგენად ურთიერთპატივისცემისა და სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების დაცვის საფუძველზე,” - ბრძანა პატრიარქმა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში იგი არაერთგზის გამოსულა საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბულობის განმუხტვისა და ომმხრივ ურთიერთობების გაუმჯობესების ინიციატივით.

ჯი-ეიჩ-ენი

მამისონის უღელტეხილზე საზღვრის სრულ პერიმეტრს ქართველი მესაზღვრეები აკონტროლებენ

მამისონის უღელტეხილზე საზღვრის სრულ პერიმეტრს ქართველი მესაზღვრეები აკონტროლებენ, - ამის შესახებ რაჭიდან დაბრუნების შემდეგ პარლამენტის წევრებმა რუსუდან კერვალიშვილმა, შოთა მალაშხიამ და ექსპერტმა მამუკა არეშიძემ განაცხადეს. მათი ინფორმაციით, ამ დროისთვის ხიდის აღდგენითი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. რუსუდან კერვალიშვილი, შოთა მალაშხია და მამუკა არეშიძე მამისონის უღელტეხილზე არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნენ. ისინი რაჭის გამგებელს, ადგილობრივ მოსახლეობას და ქართველ მესაზღვრეებს შეხვდნენ და მათგან დეტალური ინფორმაცია მიიღეს. "ჩვენი მესაზღვრეები საზღვრის სრულ პერიმეტრს აკონტროლებენ. აქ მოსახლეობას მხოლოდ სოციალური პრობლემები აწუხებს და გამომდინარე იქიდან, რომ ახლა არის ზაფხული და ისინი დამსვენებლებს ელოდებიან, აცხადებენ, რომ პოლიტიკოსებმა თავი უნდა შეიკავონ ზედმეტი განცხადებებისაგან, რადგან ეს ხელს უწყობს სიტუაციის დაძაბვას," - განაცხადა შოთა მალაშხიამ.

ხავერდ სოლანა გმოზს აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიაზე განხორციელებულ თავდასხმას

ევროკავშირის უმაღლესი კომისარი საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხებში, ხავერდ სოლანა გმოზს საქართველოში, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიაზე განხორციელებულ თავდასხმას, რის შედეგადაც ევროკავშირის მონიტორინგის მისიის თანხმლები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანის მძღოლი დაიღუპა. "დაუჯეითებით ვგმოზს საქართველოში აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ევროკავშირის მონიტორინგის მისიაზე განხორციელებულ თავდასხმას, რომლის დროსაც დაიღუპა თანხმლები სასწრაფო სამედიცინო დახმარების მძღოლი. მსურს, გამოეხატო ჩემი ღრმა მწუხარება ავთანდილ ახალაძის ოჯახისა და ნათესავების მიმართ," - ნათქვამია ხავერდ სოლანას მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

უმაღლესი კომისარი აღნიშნავს, რომ ევროკავშირის მონიტორინგის მისია შეუიარაღებელია, რომელიც მიისწრაფვის რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებისთვის და აცხადებს, რომ "ჩვენი შეუიარაღებელი მონიტორინგის ჯგუფის წევრებზე ნებისმიერი თავდასხმა დაუშვებელია". "შევახსენებ ყველა მხარეს თავის მოვალეობას, უზრუნველყონ სტაბილურობისა და უსაფრთხოების გარანტიები მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე," - აცხადებს ხავერდ სოლანა.

ჯი-ეიჩ-ენი

საქანონმდებლო ცვლილებები ცდუნების დასაძლევად

პირველი გვერდიდან

მოქმედი კანონმდებლობით, პოლიტიკური პარტიები არასაარჩევნო წლებში ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ წარადგინონ ფინანსური ანგარიშგება. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის, რა ცვლილებები შევა კანონში, უმრავლესობის რამდენიმე წევრის ინფორმაციით, შესაძლებელია პოლიტიკურ პარტიებს, საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, შუალედური ანგარიშის წარდგენის ვალდებულებაც დაეკისროთ.

უმალლეს საკანონმდებლო ორგანოში პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხის განხილვა შემდეგი კვირიდან დაიწყება. გარდა ამისა, მმართველი გუნდის წევრები მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური პარტიების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული თითოეული საჯარო აქციის დაფინანსების შესახებ ინფორმაცია შესაბამისი საინფორმაციო სამუალებებით უნდა გავრცელდეს.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდო-

მარემ აკაკი მინაშვილმა 24 საათს განუმარტა: **პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, პირველ რიგში, იმიტომ უნდა იყოს უფრო მეტად გამჭვირვალე, რომ ჩვენ სერიოზული საგარეო საფრთხე გვემუქრება რუსეთის ფედერაციისგან. ეს მტრულად განწყობილი სახელმწიფო კი ყველა მეთოდს იყენებს საქართველოს წინააღმდეგ. კარგად ვნახეთ ფაქტები, როდესაც რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომელი და საქართველოს ერთ-ერთი მტერი კონტაქტზე გავიდა პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერებთან.**

გამჭვირვალობის თემა მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნის გამო გახდა აქტუალური, კერძოდ - ჩვენი ქვეყნის ოპოზიციური სპექტრი არ უნდა ფინანსდებოდეს უცხოეთიდან, - აცხადებს "24 საათთან" საუბარში უმრავლესობის წევრი ეკა ხერხეულიძე. 9 აპრილს დაწყებული საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების მიერ დახარჯული თანხით დაინტერესდა პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავ-

მჯდომარე გივი თარგამაძე. მისი თქმით, **ელემენტარული შეკითხვები არსებობს - თუნდაც იმ თანხის წარმომავლობა, რაც ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ პროცესებში დაიხარჯა. საინტერესოა, საიდან იყო ეს ფინანსური საშუალებები, საზოგადოებას ეს ყოველივე აინტერესებს და ამიტომ უფრო დაზუსტებული კანონმდებლობა უნდა შეიქმნას.**

პრეზიდენტთან შეხვედრაზე მყოფი პარლამენტის წევრები სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური პარტიებისთვის დაფინანსების გაზრდას ძირითად თემად არ მიიჩნევენ. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კულაშვილის აზრით, **გაუგებარია, სადამდე უნდა გაიზარდოს პარტიების დაფინანსება, რომ მათ ცდუნება არ ჰქონდეთ. სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს ასეთი ცდუნება მუდმივად ექნებათ - გამოიყენონ რუსული კაპიტალი და დაფინანსება. მაგრამ, ბუნებრივია, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ პარტიებისთვის კი-**

დეე უფრო ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად.

ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი მიიჩნევს, რომ ოპოზიციური პარტიებისგან უხერხულია დაფინანსების მოთხოვნა იმ ფონზე, როცა ისინი პრეზიდენტს და პარლამენტს არ ცნობენ. მისი თქმით, **რამდენიმე პოლიტიკური პარტია ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ქვეყანაში ეკონომიკურად გართულდეს ვითარება, ამ დროს კი კარგად ითხოვენ დაფინანსებას. თუმცა, მიუხედავად ამისა, აღსრულდება ყველაფერი, რაც კანონით არის გათვალისწინებული.**

თავის მხრივ უმრავლესობის წევრმა შოთა მალაშხიამ 24 საათს განუცხადა, რომ ოპოზიციურ პარტიებს აქეთ პარტიული დაფინანსება და თუ მეტი თანხაა საჭირო, ამ თემაზეც შეიძლება საუბარი, მაგრამ, მალაშხიას თქმით, ყველაფერი გამჭვირვალე უნდა იყოს. გარდა ამისა, უმრავლესობის წევრებმა გუშინ პოლიტიკურ ოპონენტებს საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობაში მონაწილეობის მიღება შესთავაზეს.

დაკატილი ღარსი და უკან გაბრუნებული დევუტატი

საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი სომხეთში

ნათია მსხილაძე

საქართველოს პრეზიდენტის ორდლიანი ოფიციალური ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში დასრულდა. საუკუნოვანი ქართულ-სომხური მეგობრობის გაძლიერების საქმეში შეტანილი წვლილისთვის საქართველოს პირველი პირი ღირსების ორდენით დააჯილდოვეს

საქართველო მზად არის, დაუყონებლივ გახსნას ზემო ღარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი, როგორც კი რუსეთი გააკეთებს ამას, - ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავის სომეხ კოლეგა სერჟ სარგსიანთან ერევანში ერთობლივ პრესკონფერენციაზე გააკეთა. სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა კი განაცხადა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ზემო ღარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნა უკიდურესად მნიშვნელოვანი საკითხია. **ჩვენ ვაღრმავებთ ურთიერთობებს როგორც რუსეთთან, ისე საქართველოსთან. ჩვენ ამას ღიად ვაკეთებთ, შეყოვნების გარეშე, ყოველგვარი საიდუმლოების გარეშე. და თუ ჩვენი კარგი ურთიერთობები რუსეთთან და საქართველოსთან როგორღაც დაეხმარება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზებას, ჩვენ ამით მხოლოდ ბედნიერე-**

გის ჩატარების უფლება არ მისცეს და მათ მთავრობის სახლის უკანა შესასვლელისკენ მოუწიათ მსვლელობა, სადაც მიხეილ სააკაშვილისადმი მიმართვა წაიკითხეს.

როგორც სომხური სააგენტო აღნიშნავს, მიმართვაში საუბარი იყო სომხური ენის მეორე სახელმწიფო ენად ცნობაზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ასევე კონსტიტუციაში ამ რეგიონის ავტონომიური სტატუსის ასახვაზე, ერთობლივი სომხურ-ქართული უნივერსიტეტის შექმნაზე. ასევე რეგიონში დემოგრაფიული სურათის ხელოვნურად შეცვლის ნაბიჯებზე უარის თქმაზე, სოციალურ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული ინვესტიციების საჭიროებაზე და სომხეთთან რეგიონის მცხოვრებლების კონტაქტებისთვის წინააღმდეგობის არგანეგაზე. აქციის მონაწილეები ასევე მოითხოვდნენ სომხური ეკლესიისთვის სამართლებრივი სტატუსის მინიჭებას საქართველოში.

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ოფიციალურ სამუშაო ვიზიტს კანდალი უსწრებდა წინ. ვიზიტამდე სულ რამდენიმე დღით ადრე სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა, სადაც სომხური მხარე მოითხოვს განმარტებას - რატომ არ შეუშვეს ქართველმა მესაზღვრეებმა დეპუტატი შირაკ ტოროსიანი საქართველოს ტერიტორიაზე. დეპუტატმა ტოროსიანმა გა-

ნაცხადა, რომ დელეგაციის დანარჩენ წევრებს საზღვრის გადაკვეთის დროს პრობლემა არ შექმნიათ. ის ერთადერთი იყო, ვისაც საქართველოში შესვლა აუკრძალეს. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმი არ არსებობს და არც დიპლომატიური პასპორტები გამოიყენება, ერთ საათში შირაკ ტოროსიანს მესაზღვრეებმა განუცხადეს, რომ მათ ხელისუფლებისგან მიიღეს ბრძანება - არ შეეშვათ დეპუტატი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამ ფაქტს არანაირი სხვა ახსნა არ მოჰყოლია. პროტესტის ნიშნად, სომხეთის დელეგაციის სხვა წევრები იმავე ღამით დაბრუნდნენ სომხეთში.

სომეხი დეპუტატი შირაკ ტოროსიანი საქართველოში პერსონა ნონ გრანტად არის გამოცხადებული .

მომხდარ სკანდალზე საქართველოს პრეზიდენტს ახსნა-განმარტებების გაკეთება სომეხმა სტუდენტებმა მოსთხოვეს. მიხეილ სააკაშვილის განმარტებით კი, საქართველო სომხეთთან ურთიერთობების დაძაბვით დაინტერესებული არ არის. **ჩვენც გვყავს ისეთი პოლიტიკოსები, რომლებსაც საგარეო საქმეებში ჩარევის უფლებას არ ვაძლევთ. მსგავსი ექსცესები კი მომავალში აღარ უნდა განმეორდეს. არც საქართველო და არც სომხეთი არ არიან დაინტერესებულნი, რომ მათ შორის ურთიერთობა გაფუჭდეს,** - განუმარტა სააკაშვილმა სომეხ სტუდენტებს.

გაზეთი "24 საათის" გამოცემაელი შპს "მეკა". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარშაშვილი, პაატა მუშაშიძე.

რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალავანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავეიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),

სოფო კილასონია (რეჟია), ეკა ფარშაშვილი (სპორტი). **რედაქცია და მარკატიონი მინაშხარი** ირაკლი ლეივაძე ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ტექნიკა: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

სრული სიბიჟის საფრთხე

პირველი გვერდიდან

"პრობლემა ის არის, რომ ომისთვის კრემლის მზადყოფნა არანაირ კავშირში არ არის იმ სარგებელთან, რისი მიღებაც ომისგან შეუძლია," - აღნიშნავს ლატინინა. კრემლისთვის მთავარია, მსოფლიო დაარწმუნოს, რომ ომი საქართველოს ბრალია, - დასძენს იგი.

"ერთი წლის განმავლობაში კრემლი ცდილობდა, ევროპა დაერწმუნებინა, რომ რუსეთ-საქართველოს ომი საქართველომ დაიწყო. ნათელია, რომ რაც უფრო მეტად დაუსჯელია კრემლი, მით უფრო მეტია ახალი ომის ალბათობა. ეუთო-ს ჩინოვნიკები კონფიდენციალურ საუბრებში ითხოვენ, "არ გავამწვავოთ" ის ფაქტი, რომ ეუთო-ს მისია საქართველოს 30 ივნისამდე დატოვებს. ამით ისინი ომს პრაქტიკულად გარდაუვალს ხდიან," - წერს იულია ლატინინა.

ლატინინას სტატიის გამოქვეყნებამდე ერთი დღით ადრე საქართველოს წინააღმდეგ ახალი ომის შესაძლებლობაზე პუტინის ყოფილმა მრჩეველმა, აშშ-ში მოქმედი კატონის ინსტიტუტის ექსპერტმა ანდრეი ილარიონოვმა ისაუბრა. როგორც მან საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხდა, ახალი რუსული აგრესია საქართველოს წინააღმდეგ უკვე 6 ივლისს არის მოსალოდნელი.

ამას ილარიონოვი ორი გარემოებით ასაბუთებს - სწორედ 6 ივლისს დასრულდება მასშტაბური წვრთნები "კავკასია 2009" და, იმავდროულად, ობამა-მედვედეს შეხვედრა შედგება.

ილარიონოვი მიიჩნევს, რომ ივლისში, შესაძლოა, შარშანდელი აგვისტოს სცენარი განმეორდეს, როდესაც რუსული სამხედრო ძალები დიდი წვრთნების შემდეგ რამდენიმე დღეში საქართველოში შემოიჭრნენ.

"ამასთან, ობამას ვიზიტს რუსეთში იმისთვის გამოიყენებენ, რათა მთელ მსოფლიოს აგრძნობინონ, რომ საქართველოს წინააღმდეგ ომის ახალი სტადია აშშ-სთან არის შეთანხმებული," - აღნიშნა ილარიონოვმა.

ნოვმა. ომისთვის მზადების ნიშნებს ილარიონოვი სწორედ კონფლიქტის ზონებში ეუთო-სა და გაერო-ს მისიების გაუქმებაში, ასევე ევროკავშირის დამკვირვებელთა წინააღმდეგ გახშირებულ პროვოკაციებში ხედავს.

ექსპერტის აზრით, რუსეთის ახალი აგრესიის მიზანი გახდება დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის შეწყვეტა და ქვეყნის დანაწევრება რამდენიმე კვანძისა-ხელმწიფოდ, ცენტრალური სახელმწიფო და სამხედრო ინსტიტუტების განადგურება.

ამასთან, ილარიონოვი მიიჩნევს, რომ დასავლეთის ქვეყნების მხრიდან რუსეთის ქმედებებს არანაირი რეაქცია არ მოჰყვება, ვინაიდან დასავლეთის ლიდერებს რუსეთის განზრახვები არ ესმით.

თავის პრესკონფერენციაზე ილარიონოვმა აგვისტოს ომის შესახებ მორიგი მოხსენება წარადგინა. მისი ინფორმაციით, ომისთვის მზადება რუსეთმა ჯერ კიდევ 2001 წელს დაიწყო, როდესაც კრემლმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებაში თავისი ხალხის დაწინივება დაიწყო. უფრო აქტიურ ფაზაში ეს მზადება 2004 წელს გადავიდა, როდესაც რუსეთი რეგიონში შეიარაღების შეტანას და სეპარატისტთა სამხედრო ძალებში თავისი ოფიცრების დანიშვნას შეუდგა.

"მსოფლიოში ეჭვი ალავის ეპარება, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის მოქმედება პასუხი გახდა მრავალწლიან პროვოკაციაზე, რომელსაც რუსეთი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ახორციელებდა," - განაცხადა ექსპერტმა. კერძოდ, შეჰყავდა სამხედრო ძალები უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, რუსეთის მიერ კონტროლირებადი ოსური ძალები ესროდნენ ქართულ სოფლებს, 2 აგვისტოს კი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ევაკუაცია განხორციელდა.

საქართველოში შექმნილ მდგომარეობას და რუსული აგრესიის განმეორების შესაძლებლობას ბრიტანულმა

გაზეთმა "თაიმსმა" გუშინ ერთდროულად სამი პუბლიკაცია მიუძღვნა. როგორც ანალიტიკოსი ტონი ჰელინი აღნიშნავს, "რუსეთს სააკაშვილისთვის მხოლოდ ერთი რამ სურს - მისი დამხობა და, პუტინის მხატვრული გამონათქვამის მიხედვით, "კვერცხებით ჩამოკიდება."

"გასულ კვირას რუსეთის გენშტაბის უფროსმა ნიკოლაი მაკაროვმა განაცხადა, რომ საქართველო ხელახლა იარაღდება, რათა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ძალით ჩაიგდოს ხელში," - აღნიშნავს გამოცემა. რუსეთის ზენოლით რეგიონში გაერო-სა და ეუთო-ს მისიები დაიხურა, ხოლო ევროკავშირის დამკვირვებლებს რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არ უშვებს.

"ომიდან კრემლმა ის დასკვნა გამოიტანა, რომ ევროპისა და ამერიკის აღშოვობა დიდხანს არ გრძელდება და სერიოზულ სანქციებს არ იწვევს," - წერს ავტორი. მისი აზრით, შესაძლებელია, რუსეთმა ახალი ომი აშშ-ს პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტის წინ დაიწყო, რათა სააკაშვილი დაამხოს და ობამა დაამციროს.

არ არის გამორიცხული, რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ახალი ომი დაიწყო - წერს საქართველოდან მომზადებულ რეპორტაჟში ჟურნალისტი ფილიპ პენკი. იგი აღნიშნავს, რომ რუსული ტანკები თბილისიდან სულ ერთი საათის სავალზე დგას და ერთ-ერთი ბრიტანელი დიპლომატის შედარებაც მოჰყავს - "წარმოიდგინეთ, რომ ლონდონში ცხოვრობთ და რუსული ტანკები უინძორში დგას."

ავტორის მტკიცებით, იგი სოფელ ერგენეთში თავად შეესწრო რამდენიმე გასროლას ოსური მხრიდან. მას მოჰყავს ქართველი პოლიციელების განცხადება იმის შესახებ, რომ რუსი მესაზღვრეები და ოსი მოხალისეები ყოველ საღამოს თვრებიან და გასართობად ისვრიან.

ორშაბათს კავკასიაში წვრთნების ჩასატარებლად 8 500 რუსი სამხედრო, 200 ტანკი, 450 ჯავშანმანქანა და 250 ქვემეხი დაბრუნდება.

"საქართველო ამტკიცებს, რომ ამ ძალების ნაწილი შეურთდება ათასობით სამხედროს, რომლებიც გასული წლის ზაფხულიდან რუსეთმა სეპარატისტთა კონტროლის ქვეშ მყოფ ორ ქართულ ტერიტორიაზე განალაგა," - წერს გამოცემა.

"მათ (რუსებმა) გაყარეს დამკვირვებლები, რადგან ომისთვის ემზადებიან," - განუცხადა ბრიტანელ ჟურნალისტს ერგენეთის ერთ-ერთმა მოსახლემ, რომელიც დამწვარი სახლის ნანგრევებში ცხოვრობს.

"სქემა იგივეა, როგორც შარშან - რუსები სამხედრო კონტინგენტს აძლიერებენ, მსხვილ სამხედრო მანევრებს ატარებენ, პირდაპირ ემუქრებიან საქართველოს. იმავდროულად აცხადებენ, რომ ქართული მხარე ომისთვის ემზადება და ამიტომ რეაგირება მოუწევთ," - განაცხადა ბრიტანულ გამოცემასთან ინტერვიუში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ.

"თაიმსმა" მიხეილ სააკაშვილთან ინტერვიუ გამოაქვეყნა. გასულ წელს რუსეთმა ომი ნავთობსადენების ხელში ჩასაგდებად დაიწყო, - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. "ჩვენ რუსეთს თავს არ ვესმოდით, ჩვენ მოსკოვი არ დავგვიბომბავს," - განაცხადა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, პუტინს მთელი საქართველოს ოკუპაცია სურდა, ვინაიდან ეს მისთვის დასავლეთთან გეოპოლიტიკური მეტოქეობა იყო. "ომის დაწყებიდან ხუთ დღეში ბუშმა განაცხადა: ჩვენ მათ თბილისში შესვლის უფლებას არ მივცემთ. ნახევარ საათში რუსებმა უკან დახევა დაიწყეს," - განაცხადა სააკაშვილმა და აღნიშნა, რომ რუსული ძალების პოზიციებიდან სულ 10 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს მსხვილი ნავთობსადენი, რომლითაც დასავლეთი ნავთობის ყოველდღიური მოწოდების 1 პროცენტს იღებს.

გიგი უგულავა თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევის ინიციატივით გამოდის

დედაქალაქის მერი გიგი უგულავა პარლამენტს თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევის თაობაზე შესაბამის კანონებში ცვლილებების შეტანის წინადადებით მიმართავს. "ჩვენ პარლამენტს შევთავაზეთ, რომ შეიცვალოს კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" და კანონი "თბილისის შესახებ", რომლის საფუძველზეც, 2006 წლისგან განსხვავებით, თბილისში მერის პირდაპირი წესით არჩევა მოხდება. მე ამ იდეას მხარს ვუჭერ დღევანდელი გამონეგევიდან გამომდინარე," - განაცხადა უგულავამ "ქორთიარდ მარიოტში" ევროპის ქალაქების საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას. ამასთან, მისივე თქმით, მერის პირდაპირი წესით არჩევა თბილისის მეტ დემოკრატიასა და თავისუფლებას მოუტანს.

ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანამ ევროკავშირის მონიტორინგის მისიის პატრულზე თავდასხმა დაგმო

ჩეხეთის რესპუბლიკამ, როგორც ევროკავშირის ამჟამინდელმა თავმჯდომარე ქვეყანამ, გააკეთა განცხადება, რომელშიც მკაცრად დაგმო ან. 21 ივნისს ევროკავშირის მონიტორინგის მისიის პატრულზე განხორციელებული თავდასხმა აფხაზეთის/საქართველო ადმინისტრაციული საზღვართან. აღნიშნული თავდასხმის შედეგად დაიღუპა თანმხლები სამედიცინო დახმარების მანქანის მძღოლი და დაშავდა მანქანაში მყოფი ექიმი. ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა სამიძმარს უცხადებს დალუპულ ავთანდილ ახალაძის ოჯახსა და ნათესავებს. ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის განცხადებით, ევროკავშირის შეუიარაღებელ მონიტორებზე და პატრულზე ნებისმიერი თავდასხმა სრულიად დაუშვებელია. ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა მოუწოდებს ყველა მხარეს, შეასრულონ საკუთარი წილი ვალდებულება მათი კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიებზე სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.

ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის განცხადებით, აუცილებელია, რომ ზემოაღნიშნული ქმედების ჩამდენი მართლმსაჯულების წინაშე წარდგენი.

მედიაინფო

შამბა რუს გენერალს ფიზიკურად გაუსწორდა

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასა და რუსეთის გენერალიტეტს შორის ვითარება დაიძაბა. როგორც საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" სოხუმიდან სარწმუნო წყარომ აცნობა, რამდენიმე დღის წინ შამბასა და სოხუმში მყოფ ერთ-ერთ რუს გენერალს შორის ინციდენტი მოხდა, რომელიც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

როგორც წყარო იტყობინება, ერთ-ერთ თათბირზე რუსი გენერლის დირექტივები, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის ხელისუფლება და მისი სამხედრო შენაერთები სრულად უნდა დაქვემდებაროს რუსეთს, შამბასთვის მიუღებელი აღმოჩნდა, რის გამოც მან თათბირი დატოვა. "მას შემდეგ, რაც შამბამ თათბირი დატოვა, რუსმა გენერალმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რაც ფიზიკურ ანგარიშსწორებაში გადაიზარდა," - გვატყობინებს წყარო სოხუმიდან. საუბარია იმაზე, რომ აფხაზეთის მთელი ტერიტორია ერთ დიდ რუსულ სამხედრო ბაზად იქცა, სადაც ყველაფერი რუსეთის კონტროლის ქვეშ გადავიდა. აფხაზეთში ასევე თავმოყრილია რუს სამხედროთა კოლოსალური რაოდენობა და თავად აფხაზეთისთვის ადგილი პრაქტიკულად აღარ დარჩა - მდინარე ფსოუსა და ენგურის საზღვარზე 1 500-მდე რუსი სამხედრო დგას, მაშინ როდესაც აფხაზი სამხედროების რაოდენობა ამ ადგილებში ორასს ძლივს აღწევს. რუსი სამხედროები ასევე დგანან სოხუმის აეროპორტში, სოხუმისა და ოჩამჩირის საზღვაო პორტებშიც და გაგრის სანაპიროზეც. გარდა ამისა, აფხაზეთის მთელი სანაპიროც სასაზღვრო ზონად არის ქცეული. სანაპიროზე განთავსებულია ხუთი სასაზღვრო-საგუშავო: "სქურჩას" ტბისა და მაჩარის დასახლებული პუნქტის რაიონებში, ახალი ათონისა და ბიჭვინთის რაიონებში და გაგრის რაიონის ცანდრიფშის დასახლებაში. ერთადერთი ოფიციალური პირი, რომელმაც ბოლო ორი დღის განმავლობაში სოხუმში ზარებს უპასუხა, დე ფაქტო უმმართველის საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკოზა იყო, რომელმაც განაცხადა, რომ სხვა უწყებისა და იქ მომხდარი ამბების შესახებ კომენტარს არ აკეთებს. რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, სკანდალის მიჩუმათების მიზნით, აფხაზეთის ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრი მოსკოვში გამოიძახა და მასთან დახურული კონსულტაციები დაიწყო. ცნობილი ხდება ისიც, რომ პარალელურ რეჟიმში, შამბას რუსეთის დედაქალაქში ჟენევის მოლაპარაკებების ჩაშლის ფორმატიც წარედგინა, რომელიც, როგორც კრემლის კულუარებში აცხადებენ, სოხუმს "მეტ დამოუკიდებლობას" მოუტანს.

ჯი-ეიჩ-ენი

ოპოზიციის კონტრპეივა

პირველი გვერდიდან

აქედან გამომდინარე, ვეფხვავს უპრიანად მიაჩნია, ქვეყნის პოლიტიკური ძალები ჯერ ახალი ცესკო-ს დაკომპლექტების წესზე ჩამოყალიბდნენ, ხოლო ამის შემდეგ მიანდონ აღნიშნულ ორგანოს პარტიების მკაცრი კონტროლი.

სახელმწიფოს მხრიდან

არსებული ორთვიანი დავალიანების გამო, ეროვნული ფორუმის ერთ-ერთ ლიდერ ირაკლი მელაშვილს დაფინანსებაზე საუბრის ხალისი დაკარგული აქვს. მიუხედავად ამისა, მან განმარტა თავისი დამოკიდებულება პრეზიდენტის ახალი ინიციატივის მიმართ: ვერანაირი მექანიზმების შემოღების საჭიროებას ვერ ვხედავ, რად-

გან ნაციონალური მოძრაობა ბიზნესმენების გატყავებით არსებობს. სანამ სასამართლო დამოუკიდებელი არ გახდება, ნებისმიერი მექანიზმი, ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება ბლეფია .

პრეზიდენტის ინიციატივას ლევან გაჩეჩილაძე გუშინ პარლამენტის წინ გამართულ აქციაზე გამოეხმაურა. გაჩე-

ჩილაძის თქმით, ნაციონალების ლიდერ მიხეილ სააკაშვილს მორალური უფლება არ აქვს, სხვა პარტიების დაფინანსების წყაროები გამოიკვლიოს. გაჩეჩილაძე სააკაშვილს მოუწოდებს, გამჭვირვალობა საკუთარი თავიდან დაიწყო - იმ უკანონობას ახადოს ფარდა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის დაფინანსებაში არსებობს.

ფულის მასის მიმოქცევის მრუდი

თინა ბავაძე

საქართველოს ეკონომიკური ზრდის წინაპირობას უცხოეთიდან კერძო კაპიტალის ნაკადებისა (პირდაპირი უცხოური ინვეტიციები და საბანკო კრედიტები) და საბიუჯეტო სახსრების მუდმივი ზრდა წარმოადგენდა.

2009 წლისთვის ინვესტიციების ნაკადების შეწყვეტა მნიშვნელოვნად შეამცირებს ფულადი მასის ზრდას. თავის მხრივ, ეს გამოიწვევს ქვეყანაში ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების შემცირებას, რაც შეასუსტებს ეროვნული ბანკის მიერ ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნების უნარს. აღნიშნული მოვლენა გამოიწვევს ქვეყანაში შიდა მოთხოვნის შემცირებას. ბოლო სამ წელიწადში (2005-2007) საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე დეფიციტი 2.8-ჯერ გაიზარდა და 2 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა.

საგადამხდელო ბალანსის ერთ-ერთი შემადგენელი პუნქტია ინვესტიციები, რომლებიც სავალუტო კურსის განმსაზღვრელი დეტერმინანტია. უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში ხელს უწყობს ეროვნული ვალუტის გამყარებას და უცხოური ვალუტის გაუფასურებას ამ ქვეყნის ვალუტასთან მიმართებაში.

ეროვნულმა ბანკმა, საგადამხდელო ბალანსის ცალკეული მუხლების პროგნოზირების მიზნით, ჩაატარა გამოკითხვა ადგილობრივ და უცხოურ კომპანიებში. გამოკითხვის მიზანი იყო 2009 წელს ქვეყანაში კერძო უცხოური კაპიტალის მოძრაობის შესახებ ინფორმაციის

მოგროვება. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა 119-მა კომპანიამ მიიღო. კვლევის წინასწარი შედეგები ასეთია: კერძო უცხოური ინვესტიციები შეადგენს 1,74 მილიარდ აშშ დოლარს. მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, დაახლოებით, 815 მილიონი აშშ დოლარია, ხოლო პორტფელის ინვესტიციები - დაახლოებით 33 მლნ აშშ დოლარი. რაც შეეხება ერთობლივ სესხებს და სხვა სახსრებს, სავარაუდოა დაახლოებით მილიარდი აშშ დოლარის მოზიდვა. უცხოური ინვესტიციების შემოდინების შემცირება, ფულადი გზავნილების კლებასთან ერთად, გააღრმავებს საგადამხდელო ბალანსის დეფიციტს. ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობის მიზნით, ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდება.

რუსული აგრესიისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე კი მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა - შესუსტდა კერძო კაპიტალის ნაკადები. ამის გამო, ველარ გადაიფარა მიმდინარე დეფიციტი, რაც აისახა კიდევ სავალუტო ბაზრის კონიუნქტურაზე. საერთაშორისო რეზერვები ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მოქნილი ინსტრუმენტია და მოიცავს სარეზერვო აქტივების მარაგს, რომელიც ქვეყანამ შეიძლება გამოიყენოს საერთაშორისო საანგარიშსწორებო ოპერაციების, სავარეო ვალის დასაფარად და სხვა მსგავსი მიზნებისათვის.

საერთაშორისო რეზერვების მართვა გაცვლითი კურსების მართვის შემადგენელი ნაწილია და მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული

ბული იმ საკურსო რეჟიმზე, რომელსაც ქვეყნის ხელისუფლება ახორციელებს.

მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის შემთხვევაში, საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის დაფარვა ავტომატურად ხორციელდება გაცვლითი კურსის კორექტირების შედეგად და მონეტარული ხელისუფლება საერთაშორისო რეზერვებს მხოლოდ მაშინ მიმართავს, როცა კურსის მკვეთრ რყევებს აქვს ადგილი. საერთაშორისო რეზერვების ეფექტური მართვისათვის ცენტრალური ბანკები ახდენენ უცხოური ვალუტის დივერსიფიკაციას, ანუ სავალუტო კალათის ფორმირებას, რაც გულისხმობს ცალკეული ვალუტებისა და, შესაბამისად, მათი მოცულობების შერჩევას. საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები დივერსიფიცირებულია ნაწესხობის სპეციალურ ფულებათა კალათაში შემავალი ვალუტებით. საერთაშორისო რეზერვების ეფექტური მართვისათვის საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს იმ ფინანსური ინსტრუმენტების შერჩევას, რომლებშიც მოხდება საერთაშორისო რეზერვების განთავსება. ასევე, მნიშვნელოვანია ლიკვიდურობის მოთხოვნის დაცვა.

ექსპერტი თათა ალშიბაია ამბობს: "ეროვნული ვალუტის კურსის ვარდნა იწვევს ექსპორტის გაიზარებას და იმპორტის გაძვირებას, რასაც ნორმალურ პირობებში მოჰყვება ხოლმე სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება, მაგრამ არა ჩვენს შემთხვევაში, რადგანაც ქვეყანაში ბაზრის უდიდესი ნაწილი მხოლოდ იმპორტულ პროდუქციას უჭირავს.

ჩვენ თითქმის არაფერს ვაწარმოებთ და იმპორტული საქონლის ადგილობრივით ჩანაცვლების ახლო პერსპექტივები არ არსებობს. ეს ყველაფერი ზრდის იმპორტული საქონლისა და მომსახურების ფასებს. დღევანდელი ვითარება საქართველოში ასეთია: ინვესტიციები ხუთჯერ არის შემცირებული და შემცირებულია სარეზერვო ფონდებიც. ამის გამო, იზრდება ლარის გაცვლითი კურსის დაცემის შესაძლებლობა. ამ ფონზე მეტად მნიშვნელოვანია უცხოური ფინანსური დახმარებების დროში თანხვედრა ქვეყანაში მიმდინარე მაკროეკონომიკურ პროცესებთან."

ეროვნული ვალუტის ლარის კურსის სიმყარე მიგრანტებზეა დამოკიდებული. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ფულადი გზავნილების მოცულობის შემცირება ძირითადად რუსეთიდან მათი ნაკადების კლებამ გამოიწვია, რომელმაც 16.6 მლნ აშშ დოლარი, ანუ 34.3 პროცენტი შეადგინა. ფულადი გზავნილები შემცირდა ასევე უკრაინიდან (1.3 მლნ აშშ დოლარით ანუ 23.3 პროცენტით), სომხეთიდან (1.3 მლნ აშშ დოლარით ანუ 64.1 პროცენტით), ესპანეთიდან (0.5 მლნ აშშ დოლარით ანუ 22.7 %-ით), აგრეთვე ზოგიერთი სხვა ქვეყნიდან. უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 88.8 პროცენტი იმ 8 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ მაისში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ 8 ქვეყანაზე გასული წლის მაისში მთელი ფულადი გზავნილების 89.1 პროცენტი მოდიოდა.

მიმდინარე წელს ექსპორტის

შემთხვევაში დაფიქსირდება წლიური კლება 29.4%-ის ოდენობით. იმპორტის შემთხვევაში კი - 21,7 %-ის ოდენობით. ამის შედეგად სავაჭრო დეფიციტი თითქმის 17 %-ით შემცირდება.

მოსალოდნელია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის 27,4 პროცენტით შემცირება, 2008 წელთან შედარებით. ძირითადი ანგარიშის დეფიციტს, უმთავრესად, კვლავ სავაჭრო დეფიციტი განაპირობებს. თათა ალშიბაია ამბობს: სავარაუდოდ, 2009 წელს დადებითი იქნება ტრანსპორტის ბალანსი და 2008 წელთან შედარებით კრედიტი 13,2 პროცენტით გაიზრდება, ხოლო დებეტი შემცირდება 14,3 პროცენტით. რაც შეეხება ტურიზმს, 2009 წელს წინა წელთან შედარებით ექსპორტი გაიზრდება 5,3 პროცენტით, ხოლო იმპორტი 8.0 პროცენტით. მომსახურების სხვა დარგებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. საინვესტიციო შემოსავლები 2009 წელს პროგნოზების მიხედვით იქნება 587,0 მლნ. აშშ დოლარი, რაც 2008 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე ნაკლები იქნება 5.8 პროცენტით. შემოსავლების ბალანსი 2008 წლის მაჩვენებელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდება. შემცირდება მიმდინარე ტრანსფერების ანგარიშიც. მოსალოდნელია კაპიტალური ტრანსფერების მატება 13-14 პროცენტით. მოსალოდნელია ასევე ფინანსური ანგარიშის კლება 28-29 პროცენტით. ეს ძირითადად გამოწვეული იქნება პორტფელისა და სხვა ინვესტიციების კლებით. მოსალოდნელია სარეზერვო აქტივების კლებაც.

მაქსიმა" ანაბარი საქართველოს ბანკისგან

საუკეთესო პირობები ერთ ბარათში

ინოვაციური

საქართველოს ბაზარზე მოქმედი ბანკები, არსებული კრიზისის პირობებში, მომხმარებელს ახალ პროდუქტებს სთავაზობენ. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოს ბანკია, რომლის ადმინისტრაციაც მომხმარებელს სიახლეს სთავაზობს. ამის შესახებ მედია საშუალებებს სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილემ გიორგი ჭილაძემ აცნობა.

მაქსიმა" ანაბარი მომხმარებელს არაერთ უპირატესობას და მის მოთხოვნაზე მორგებულ პირობას სთავაზობს. მაქსიმა" ერთდროულად ვიზა კლასიკის პლასტიკური ბარათია, რომელზეც დანაზოგი თავსდება და ის ამავე დროს ანაბარიცაა. ამ შემთხვევაში კი დღეების სიზუსტით დაანგარიშებული, მაღალი საპროცენტო სარგებელი, ყოველი თვის ბოლოს ანგარიშზე ნაშთის შესაბამისად ირიცხება. თუ თანხა ლარშია - 10 პროცენტი, ხოლო აშშ დოლარში, ევროსა და გირვანქა სტერლინგში არსებულ ანაბარზე 8 პროცენტი. აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველი თვის ბოლოს ანაბარზე დარიცხული სარგებელი მომხმარებლის დანაზოგს ემატება" - განაცხადა გიორგი ჭილაძემ.



ამ ტიპის პროდუქტს მომხმარებელს ბაზარზე საქართველოში მოქმედი ორი ბანკი სთავაზობს. ბუნებრივია, ამ მიმართულებით კონკურენციაც არსებობს, ამიტომ, როგორც სს საქართველოს ბანკის მარკეტინგის და პიარის დირექტორი გია ბარკალაია განმარტავს,

მაქსიმა" ანაბარში მომხმარებლისათვის მაქსიმალური კომფორტის შექმნის მიზნით, ყველა რესურსია გამოყენებული.

მაქსიმა ბარათით" მაქსიმა ანაბარზე განთავსებული თანხის განაღდება მეანაბრეს მსოფლიოს ყველა წერტილში, ნებისმიერ დროს

შეუძლია. შესაძლებელია, როგორც ბარათზე არსებული დანაზოგის, ისე მასზე დარიცხული პროცენტის განაღდება. საფულისხმოა ისიც, რომ ანაბარზე არსებული თანხის განაღდების შემთხვევაში, მაქსიმას" საპროცენტო განაკვეთი არ მცირდება. ის ლარში ისევ 10 პრო-

ცენტს, აშშ დოლარში, ევროსა და გირვანქა სტერლინგში კვლავ 8 პროცენტს შეადგენს.

სს საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის გიორგი ჭილაძის განმარტებით, მაქსიმა ანაბარს დამატებით მოქნილობას ისიც სძენს, რომ მისი მეშვეობით თანხის დაგროვება და განთავსება ერთდროულად რამდენიმე ვალუტაშია შესაძლებელი. ხოლო დანაზოგის შევსება შესაძლებელია ნებისმიერ დროს, ნებისმიერი მოცულობის თანხით. ბარათის ღირებულება 0 ლარია, მოხმარების ვადა 2 წელი, ხოლო განაღდების საკომისიო 0,25 პროცენტი.

თანხის გამოტანის საკომისიო არის 0,25 პროცენტი. დღიური ლიმიტი ბანკომატიდან უცხოური ვალუტის გატანის შემთხვევაში არსებობს. ეს იმიტომ ხდება, რომ მომხმარებელის ინტერესები მაქსიმალურად იყოს დაცული. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი თანხის გასანაღდეblად, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილის ბანკში მივა თანხის გასანაღდეblად, მაშინ ლიმიტი მოხსნილია. დღეს შემოიტან თანხას და ხვალ გაიტან, პრინციპი მარტივია" - ამბობს გია ბარკალაია.

სასამართლომ ავადმყოფ პატიმარს სასჯელის მოხდა გადაუვადა

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასჯელალსრულების დაწესებულებიდან კიდევ ერთი პატიმარი ქალი გათავისუფლდა. მედეა გორდეზიანი სასჯელს ჯგუფურად ჩადენილი თაღლითობისთვის იხდიდა. მას 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა დანიშნული.

სასამართლომ მსჯავრდებულის ადვოკატების შუამდგომლობა განიხილა, რომლებიც განსასჯელის მძიმე ავადმყოფობის გამო, მის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრ-

თელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე, მსჯავრდებულის სასჯელის მოუხდელი ნაწილის გადავადებას ითხოვდნენ. ადვოკატების მოთხოვნა ემყარებოდა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტთა კომისიურ დასკვნას, სადაც ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ მედეა გორდეზიანი დაავადებულია ონკოლოგიური პროფილის მძიმე დაავადებით და მისი ავადმყოფობა ხელს უშლის სასჯელის მოხდას.

სასჯელალსრულების დეპარტამენტის წარმომადგენელმა სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობას მხარი არ

დაუჭირა და განმარტა, რომ საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, სასჯელალსრულების დაწესებულების პირობებში, მსჯავრდებულს კვალიფიციური სამედიცინო დახმარება გაენიოს. თუმცა, სასამართლომ სასჯელალსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლის ეს მოსაზრება არ გაიზიარა და მსჯავრდებულის ადვოკატების შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

მედეა გორდეზიანს დარჩენილი სასჯელის 4 წლის, 8 თვისა და 13 დღის მოხდა გადაუვადდა მის გამოჯანმრთელებამდე და პატიმრობიდან გათავისუფლდა.

მძიმე ავადმყოფი მედეა

გორდეზიანი სასამართლო სხდომას ვერ დაესწრო და სასამართლოს გადაწყვეტილებას თბილისის ონკოპრევენციის ცენტრის პალიატიური მზრუნველობის კლინიკაში ელოდებოდა.

მედეა გორდეზიანი მკურნალობის კურსს, როგორც ჩვეულებრივი პაციენტი, ისე გაივლის. მის ჯანმრთელობაზე კონტროლი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დაევალა. გამოჯანმრთელების შემთხვევაში, სასამართლო დარჩენილი სასჯელის შემდგომ მოხდაზე იმსჯელებს.

საკუთარი ინფორმაცია

ბანზრას მკვლელობა "სიყვარულის სახელით"

მაია მაცხვარიშვილი ქუთაისიდან

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში არჩილ კომლაძის საჩივრის განხილვა დაიწყო, რომელიც 3 წლის განმავლობაში იძებნებოდა. 22 წლის კომლაძეს ჯგუფურად განზრახ მკვლელობაში ედება ბრალი. კომლაძის ადვოკატი მიიჩნევს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს დანაშაული არ ჩაუდენია და შესაბამისად, სასამართლოსგან მის გამართლებას ითხოვს.

საქმის მასალების მიხედვით, მკვლელობა საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთში მოხდა. 2006 წლის 9 იანვარს კომლაძის საცხოვრებელ სახლში - საჩხერის რაიონის სოფელ სავანეთი - მისი ბიძაშვილი, ამავე რაიონის სოფელ ქორეთის მკვიდრი გიორგი სისვაძე მივიდა სტუმრად. ორი დღის შემდეგ ისინი ერთად გაემგზავრნენ სოფელ ქორეთში, სადაც დაახლოებით ღამის 11 საათზე სისვაძის ყოფილი შეყვარებულის - ნინო გოგატიშვილის ბიძაშვილს - მალხაზ გოგატიშვილს შეხვდნენ.

"გიორგი სისვაძემ იცნო რა იგი, ჩანთიდან ამოიღო საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი ერთლულიანი სანადირო თოფი და შურისძიების მოტივით, განზრახ მოკლეს მისი, ესროლა მალხაზ გოგატიშვილს," - ნათქვამია საქმის მასალებში. იმავე მასალებიდან ირკვევა, რომ გოგატიშვილი მძიმედ დაიჭრა, თუმცა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როდესაც სისვაძემ და კომლაძემ მას ე.წ. "სკოჩით" შეუკრეს ხელები და აუკრეს პირი, შემდეგ გადაათრიეს იქვე არსებული სკოლის ეზოში, სადაც მავთულით წელზე შეაბეს დიდი ზომის ქვა და სკოლის წყლით სავსე სარდაფში გადაადგეს, რის შემდეგაც ისინი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დად-

გინდა, რომ მალხაზ გოგატიშვილის სიკვდილის უშუალო მიზეზი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის შედეგად გამოწვეული მწვავე სისხლნაკლებობა და სასუნთქი გზების დახშობით, ფილტვების შეშუპებით გამოწვეული ასფიქსია გახდა. ამასთანავე, ჭიათურა-საჩხერის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა ზაზა მაჭარაშვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ ცეცხლნასროლი ჭრილობის შედეგად განვითარებული მწვავე სისხლდენის გამო მალხაზ გოგატიშვილი გონებას დაკარგავდა, მაგრამ მისი ბიოლოგიური სიკვდილი წყალში დადგა, ანუ მას შემდეგ, რაც იგი წყლით სავსე სარდაფში იქნა გადაგდებული.

გოგატაშვილის ცხედარი მკვლელობიდან 5 დღის შემდეგ, 2006 წლის 16 იანვარს იქნა ნაპოვნი ქორეთის სკოლის ეზოში, როდესაც სამართალდამცავებმა გიორგი სისვაძე დააკავეს წყალტუბოს რაიონის სოფელ ბანოჯაში, სადაც მისი ოჯახი რამდენიმე წლის წინ გადავიდა საცხოვრებლად. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, სისვაძეების ნასვლა საცხოვრებლად ქორეთიდან ბანოჯაში, მოკლულის ოჯახის წევრებსა და გიორგი სისვაძეს შორის წარმოშობილ კონფლიქტს უკავშირდება, რაც თავის მხრივ გიორგი სისვაძესა და მოკლულის ბიძაშვილს - ნინო გოგატიშვილს შორის სიყვარულის ისტორიამ განაპირობა.

ნინო გოგატიშვილმა საქმესთან დაკავშირებით მიცემულ ჩვენებაში აღნიშნა, რომ გიორგის მისი ოჯახის წევრებისა და ნათესავებისგან მალულად ხვდებოდა, რადგან ისინი ამ ურთიერთობის წინააღმდეგნი იყვნენ. უფრო მეტიც, როგორც მისი ჩვენებიდან ირკვევა, მკვლელობამდე რამდენიმე თვით ადრე მისმა ბიძაშვილებმა (მათ შორის მოკლულმა(ც) გიორგი სისვაძე მოტყუებით გაიყვანეს სახლიდან ტყეში, სადაც სცემეს და სხეულზე 14 ჭრილობა მიაყე-

ნეს დანით. ნინო გოგატიშვილის თქმით, მისი შეყვარებულის დევნასა და შეურაცხყოფას ბიძაშვილების მხრიდან შემდეგშიც ჰქონდა ადგილი. გოგონას ბიძაშვილები სისვაძეს მოკვლით ემუქრებოდნენ, თუკი ის ნინოსთან ურთიერთობას არ შეწყვეტდა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ შეყვარებულებს ერთმანეთთან ურთიერთობა არც მას შემდეგ გაუწყვეტიათ, რაც სისვაძეების ოჯახი საცხოვრებლად ქორეთიდან ბანოჯაში გადავიდა. ისინი ერთმანეთს მკვლელობის დღესაც შეხვდნენ ოჯახის წევრებისგან მალულად და მათი სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრეს. ერთმანეთს შუადღისთვის დაშორდნენ, მკვლელობა კი დაახლოებით ღამის 11 საათზე მოხდა.

საქმეზე მონმის სახით დაკითხული შს იმერეთის მთავარი სამმართველოს სამძებრო განყოფილების წარმომადგენელი დავით ფრუიძე მიუთითებს, რომ დაკავებისას გიორგი სისხლის აღიარა ჩადენილი დანაშაული და აღნიშნა, რომ ეს მისი ნათესავის დახმარებით მოახერხა. მოგვიანებით კი, გამომძიებელ გიორგი ჭარბაძისთვის მიცემულ ჩვენებაში დაასახელა, რომ ეს ნათესავი არჩილ კომლაძე გახლდათ. ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 ივლისის განაჩენით, გიორგი სისვაძე ცნობილი იქნა დამნაშავედ დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის ჯგუფურად ჩადენისთვის.

არჩილ კომლაძეზე ძებნა 2006 წლის 3 თებერვალს გამოცხადდა იმერეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის საქმეთა სამმართველოს გამომძიებლის - გიორგი მანაგაძის შესაბამისი დადგენილებით. 2007 წლის 18 მაისს კი, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ მის მიმართ საბრალდებო დასკვნა მოამზადა და საქმე არსებითად განსახილველად საჩხერის რაიონულ სასამართლოში გადაიგზავნა. აღნიშნულ ინს-

ტანციაში საქმის განხილვა კომლაძის დაუსწრებლად წარიმართა. საჩხერის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 დეკემბრის განაჩენით, არჩილ კომლაძე ცნობილი იქნა დამნაშავედ იმავე მუხლით, რითაც სისვაძე სასამართლდა. სასჯელის ზომად კი - 14 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. მასვე დაეკისრა გარდაცვლილის მამის - ამირან გოგატიშვილის სასარგებლოს 5000 ლარის გადახდა.

არჩილ კომლაძის დაკავება 2009 წლის 20 აპრილს მოხერხდა და სწორედ ამის შემდეგ შევიდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მისი ინტერესების დამცველის სააპელაციო საჩივარი. ადვოკატი ავთანდილ ბუაძე მიუთითებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი არის უდანაშაულო და შესაბამისად, სასამართლოსგან მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას ითხოვს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული საქმის განხილვა 10 ივნისს დაიწყო, თუმცა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაახლოებით სამი წლის წინ უკვე შეაფასა მალხაზ გოგატიშვილის მკვლელობის ფაქტი, როდესაც გიორგი სისვაძესთან მიმართებაში ძალაში დატოვა საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. მაშინ სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სისვაძემ გოგატიშვილის მკვლელობა ჩაიდინა ჯგუფურად - არჩილ კომლაძესთან ერთად. სამი წლის წინ სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ეს გარემოება კომლაძის დედის ჩვენებით დადგინდა, რომელშიც დადასტურებულია, რომ არჩილ კომლაძე და გიორგი სისვაძე მკვლელობის დღეს ერთად გავიდნენ სახლიდან და ერთადვე დაბრუნდნენ შინ გვიან ღამით, მეორე დღეს კი, ასევე, ერთად გავიდნენ სახლიდან, რის შემდეგაც არჩილ კომლაძეშინ აღარ დაბრუნებულა, გიორგი სისვაძე კი - რამდენიმე დღეში სოფელ ბანოჯაში დააკავეს.

ევროკავშირის სპეციალური განცხადება

ევროკავშირი სოფელ მუჟავასთან მომხდარი ინციდენტის გამოძიებას და დამნაშავეების დასჯას მოითხოვს.

"ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია რეგიონში ვითარების დარეგულირების მიზნით მუშაობს და შეუიარაღებულ დამკვირვებლებზე თავდასხმა ყოვლად დაუშვებელია. ევროკავშირის ხელმძღვანელობა ინციდენტის გამოძიებას და დამნაშავეების დასჯას მოითხოვს," - ნათქვამია ევროკავშირის მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

ევროკავშირი სროლის დროს დაღუპული მძლოლის ავთანდილ ახალაძის ოჯახის წევრებსა და მეგობრებს სამძიმარს უცხადებს.

რუსმა ოკუპანტებმა რამდენიმე დღის წინ ქართული პოლიციის საგუშაგოს ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც "კავკასიონის" 500-კილოვატისან გადამცემ ხაზზე აფეთქება მოხდა. აფეთქება გამოთენისას, დაახლოებით 06:30 საათზე მოხდა. დაზიანებულია 22-ე ანძა. ინციდენტს წინ უძღოდა სროლები წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავასთან. რუსმა ოკუპანტებმა ცეცხლი ქართული პოლიციის საგუშაგოს გაუხსნეს. არსებული ინფორმაციით, ისროდნენ ყუმბარმტყორცნიებიდან, რასაც საპასუხო ცეცხლი მოჰყვა. სროლის შედეგად არავინ დაშავებულია. მუჟავაში აფეთქება 21 ივნისსაც მოხდა, რასაც ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

პირველი

შს მინისტრის ვიზიტი აშშ-ში

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი აშშ-ში იმყოფება.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიაშვილმა განაცხადა, ვანო მერაბიშვილი შტატებში რამდენიმე დღის წინ გაემგზავრა.

რაც შეეხება ვიზიტის მიზანსა და დეტალებს, როგორც შოთა უტიაშვილი აცხადებს, მინისტრი შეხვედრებს ყველა შესაბამის უწყებაში მართავს.

მისივე ცნობით, შინაგან საქმეთა მინისტრი საქართველოში ერთ კვირაში დაბრუნდება.

პირველი

20 ათასი ლარის გირაო წინასწარი პატიმრობის ნაცვლად

თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გიორგი გოგინაშვილმა კახეთის საოლქო პროკურატურის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

პროკურორი ხვიჩა ბეგიაშვილი თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით დაკავებული კოტე კაპანაძისთვის, რომელიც "ახალი მემარჯვენების" მხარდამჭერია, აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი ორთვიანი პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა. პროკურორის მტკიცებით, იმ შემთხვევაში, თუ კაპანაძეს აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობა არ შეეფარდებოდა, ის მოწმეებზე ზეგავლენას მოახდენდა და შესაძლოა, გამოძიებისთვის ხელი შეეშალა.

მოსამართლე გიორგი გოგინაშვილმა პროკურორის კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, მისი არგუმენტები დაუსაბუთებლად მიიჩნია და პროკურატურის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. მოსამართლემ ოპოზიციის მხარდამჭერს 20 ათასი ლარის ოდენობით გირაო შეუფარდა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, დაკავებულის ახლობლები კმაყოფილები დარჩნენ. მათი თქმით, ისინი ამგვარ გადაწყვეტილებას არ ელოდნენ.

კოტე კაპანაძეს 2005-2006 წლებში და 2009 წელს სახელმწიფოსთვის 82 000 ლარის ზარალის მიყენებაში სდებენ ბრალს. ეს ის წლებია, როდესაც კოტე კაპანაძე საგადასახადო ინსპექციაში ინსპექტორად მუშაობდა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს უფროსის, გამომძიებელ ჯონი ჯიჭონიას განცხადებით, კაპანაძემ 2005-2006 წლებში საგადასახადო ინსპექციაში მუშაობისას ინდივიდუალურ მენარმე აიდან მაილოვს დაბალი გადასახადი დააკისრა.

"შემონშების შედეგად აღმოჩნდა, რომ მენარმეს 17 ათასი ლარის ნაცვლად 208 400 ლარი უნდა გადაეხადა," - აცხადებს ჯონი ჯიჭონია.

ახალი მემარჯვენების" თელავის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ნიკა ვარდოშვილი აცხადებს, რომ სამართალდამცველებმა უკანონოდ დააკავეს. მისივე თქმით, კოტე კაპანაძე და მისი ძმა ახალი მემარჯვენების" აქტიური წევრები არიან, რის გამოც ხელისუფლებისგან იდევნებიან.

პირველი

დაკავება სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე

შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე დააკავეს ფოთისა და ყულევის პორტების მებაჟეები: გოდერძი ქართველიშვილი, სერგო ტულუში და ლევან ხელაია, რომლებმაც სამართალდამცველების მტკიცებით, ფოთის პორტში თბომაველით შემოსული მერსედესის" მარკის სატვირთო ავტომანქანაზე დატვირთული მეორადი მოხმარების საბურავები, მაცივრები, აკუმულატორები, ხალიჩები და სხვა ნივთები არ განაბაჟეს, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვანი ზიანი მიაღდა. წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე და 342-ე მუხლით მიმდინარეობს, რომელიც შესაბამისად შვიდ წლამდე და სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ჯი-ეიჩ-ენი

აქცია სახელწოდებით "არ აწამო!"

დღეს, წამების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გამართავს აქციას, სახელწოდებით "არ აწამო!".

როგორც საიაში აცხადებენ, ორგანიზაციის წარმომადგენლები დიღომში, პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობის წინ შეიკრიბებიან, შემდეგ კი ორთაჭალაში, შსს-ის ძველ შენობასთან გადაინაცვლებენ. აქციის ორგანიზატორები აქციაზე სპეციალურ მაისურებს ჩაიცვამენ, რომლებზედაც მხატვარ ზაალ სულაკაურის მიერ შექმნილი წამების საწინააღმდეგო ლოგო იქნება დახატული. ისინი აქციაზე დაარიგებენ სპეციალურ ლიფლეტებს და შენობებს სპეციალურ თეთრ ლენტებს შეაბამენ წარწერით "არ აწამო!" "მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო დროს წამების ფაქტებმა იკლო, პრობლემა მაინც აქტუალურია და ბოლომდე არ აღმოფხვრილა. 26 ივნისს, წამების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გვინდა სახელმწიფოს ვალდებულება კიდევ ერთხელ შევასენოთ, წამება და არაადამიანური მოპყრობა არ დაუშვას, და ყველა მსგავსი ფაქტი გამოიძიოს," - აცხადებენ აქციის ორგანიზატორები. 1997 წელს, გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეკომენდაციით, 26 მაისი წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის საერთაშორისო დღედ გამოცხადდა.

ჯი-ეიჩ-ენი

მაშველები მტკვარში გადავარდნილ ახალგაზრდა მამაკაცს ეძებენ

გუშინ მთელი დღის განმავლობაში მაშველები მტკვარში გადავარდნილ ახალგაზრდა მამაკაცს უშედეგოდ ეძებდნენ. 29 წლის გოგიტა სულაშვილის ძებნა საგანგებო სიტუაციების სამსახურის სამაშველო ბრიგადამ გუშინ დილის 05:00 საათიდან განაახლა. როგორც საგანგებო სიტუაციათა სამსახურის უფროსმა თემურ გიორგაძემ განაცხადა, გოგიტა სულაშვილი, ძმასთან და მეგობრებთან ერთად, ლუდის ბარში იმყოფებოდა. "ნასვამ მდგომარეობაში მყოფი სულაშვილი მდინარესთან, მოაჯირზე ჩამოჯდა და შემთხვევით გადავარდა. იმ დროს მასთან მისი ძმა და მეგობრები იყვნენ. მის მაშველად წყალში ორი მეგობარი გადახტა, რომლებიც მაშველებმა მტკვრიდან მაშინვე ამოიყვანეს. სულაშვილის პოვნა ამ დრომდე ვერ ხერხდება," - განაცხადა გიორგაძემ.

პირველი

ბორის ბერეზოვსკის მორიგ განაჩენს გამოუტანენ

რუსი ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი ბრალდებულია "ლოგოვზისა" და "ავტოვაზის" კუთვნილი 140 მილიონი რუბლის მიტაცებაში. საქმეში მონაწილე მეორე ფიგურანტის იულია დუბოვას წინააღმდეგაც გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი. რომელშიც ნათქვამია, რომ ბერეზოვსკისა და დუბოვას მიერ თანხების მიტაცების ფაქტები დადასტურებულია. სასამართლო პროცესი ბერეზოვსკისა და დუბოვას დაუსწრებლად წარიმართა, რადგან ორივე ბრალდებული ამჟამად დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს. ბერეზოვსკის კი პოლიტიკური დევნილის სტატუსიც აქვს. რამდენიმე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რუსეთში ბერეზოვსკი 2001 წლიდან ძებნაში იმყოფება. მან თავის ადოკატებს საქმეში მონაწილეობა აუკრძალა და მის ინტერესებს სახელმწიფო ადოკატი იცავდა. ბერეზოვსკისთვის ეს მეორე დაუსწრებელი განაჩენია. 2007 წლის ნოემბერში ის "აეროფლოტის" კუთვნილი 215 მილიონი რუბლის მიტაცების გამო გაასამართლეს და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ჯი-ეიჩ-ენი

ქილერების ბოსი დაკავებულია

მექსიკელმა პოლიციელებმა გავლენიანი კრიმინალი, სეტასის ნარკოკარტელის ხელმძღვანელი დააკავეს, რომელიც, სამართალდამცველთა განცხადებით, საკუთარ ქვეშევრდომებს ქილერებად აყალიბებდა და მასობრივი მკვლელობების დაკვეთას აძლევდა. პოლიციისე ინფორმაციით, 39 წლის სერჯიო პენა მენდოზას დაკვეთით, ქილერებმა პოლიციელებიც მოკლეს.

მიღებული ანონიმური ინფორმაციების დამუშავების საფუძველზე, პოლიციამ ქალაქ სიუდად-ჰუარესის შემოგარენში მიაგნო ადგილს, სადაც ერთ ორმოში ათი ადამიანის ცხედარი იყო ჩამარხული. აღმოჩენილი ცხედრებიდან შვიდი ქალის იყო, ორი კი - მამაკაცის. ორმოდან მოშორებით, კრიმინალისტებმა აღმოაჩინეს პოლიციელის სამკლავური და მაშინვე ვერსია გაჩნდა, რომ ორმოში აღმოჩენილი ცხედრებიდან ერთ-ერთი პოლიციელს ეკუთვნოდა.

როგორც გაირკვა, გარდაცვლილები სეტასის ნარკოკარტელის ხელმძღვანელის სერჯიო პენა მენდოზას დაკვეთით იყვნენ მოკლულები. ის დაქირავებულ ქილერებს, სხვა, კონკურენტი ნარკოკარტელის წარმომადგენლების ოჯახის წევრებისა და ახლობლების სასტიკი წამებისა და მკვლელობის დაკვეთას აძლევდა.

თუმცა, როგორც გაირკვა, დაქირავებული ქილერების მსვერპლნი არა მხოლოდ კონკურენტი კრიმინალური დაჯგუფების წევრების ახლობლები აღმოჩნდნენ, არამედ რიგითი მოქალაქეებიც.

ცხედრები, რომლებიც გათხრილ ორმოში აღმოვაჩინეთ, საშინლად დაზიანებული იყო. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ქილერებმა ეს ადამიანები ჯერ სასტიკად აწამეს და შემდეგ მოკლეს. ისინი კარგა ხნის



ადგილი, სადაც ორმოში ჩამარხული ცხედრები იპოვეს

მოკლულები არიან. ერთ-ერთ გარდაცვლილს ხელბორკილებიც ედო, - განაცხადა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა ენრიკე ტორეს ვალადესმა. მისივე განმარტებით, ბოლო წლების განმავლობაში მექსიკის ქალაქი სიუდად-ჰუარესი, ნარკომოვაჭრეების დაჯგუფებების დისლოკაციის ადგილი გახდა და აქ ნარკომავაჭრეებმა აქტიური კრიმინალური ქმედებები განახორციელეს.

ნარკომავფიის წინააღმდეგ ბრძოლაში სამართალდამცველებმა უზარმაზარი ძალები ჩადეს მაფიოზების წინააღმდეგ. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში 2150-მა სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. მას შემდეგ კი, რაც ცხედრები აღმოვაჩინეთ, ქალაქში წესრიგის დასაცავად, დამატებით, 1500 სამხედრო მოსამსახურე გამოვიყვანეთ, - განაცხადა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა ენრიკე ტორეს ვალადესმა.

ფედერალურმა პოლიციამ სერჯიო პენა მენდოზა ცხედრების აღმოჩენის დღესვე დააკავა. ალყაში მოქცეულმა ქილერების ბოსმა ავტომანქანით გაქცევა და მიმაღლა სცადა, თუმცა მისი დაკავება სამართალდამცველებისა და სამხედრო მოსამსახურეების ერთობლივი ძალებით მაინც მოხერხდა. დაკავებულის ავტომანქანაში პოლიციამ სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩინა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, პოლიციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი და ერთ-ერთი ადგილობრივი ბიზნესმენი ქილერების ბოსის ავტომანქანაში ნაპოვნი იარაღით იყვნენ მოკლული.

სერჯიო პენა მენდოზას დაკავების დღეს პოლიციის ერთი განყოფილების შენობას ხელყუმბარა ესროლეს. შენობა მთლიანად დაიწვა. მოგვიანებით, სამართალდამცველებმა პოლიციის შენობის აფეთქებაში ეჭვმიტანილიც დააკავეს. მის საცხოვრებელ სახლში კი უამრავი ხელყუმბარა იპოვეს. აფეთქე-

ბაში ეჭვმიტანილი მენდოზას ღვგუფების წევრი აღმოჩნდა.

სერჯიო პენა მენდოზას ბრალდებები უკვე წარდგენილი აქვს. მას მიიმე მუხლებით გაასამართლებენ. როგორც მექსიკელი სამართალდამცველები აცხადებენ, დაკავებული განგსტერი დიდი გავლენით სარგებლობდა და სეტასის ნარკოკარტელის შემქმნელის, ჰაიმე გონსალესის მემკვიდრედ ითვლებოდა. ჰაიმე გონსალესი 2008 წლეს დააკავეს. ის სასჯელს გვატემალის ციხეში იხდის.

ქილერების ბოსის დაკავებაზე ცოტა ხნით ადრე, ქალაქ სიუდად-ჰუარესის პოლიციის უფროსმა განცხადება დაწერა ამის მიზეზი მისთვის გაგზავნილი ულტიმატუმისა და მუქარის წერილი იყო. წერილის ავტორები კი ნარკოკრიმინალური დაჯგუფების წევრები იყვნენ. თუკი არ გადადგებით, ქილერები ყოველ დღე ერთ პოლიციელს მაინც მოკლავენ, - ასეთი იყო ქალაქის პოლიციის შეფისთვის გაგზავნილი წერილის შინაარსი. ცოტა ხანში, წერილის ავტორებმა ფურცლები, რომლებზეც დიდი ასოებით დაწერილი იგივე მოთხოვნა და მუქარა იყო, ქუჩებშიც გააკრეს.

ამ მუქარის წერილების გავრცელებიდან მეორე დღეს ქუჩაში მოკლული პოლიციელი იპოვეს. მოკლულის ცხედარზე კი წარწერა იყო დატოვებული - ეს პირველი მკვლელობაა ულტიმატუმის პირობის შეუსრულებლობის გამო. ამ შემთხვევიდან რამდენიმე საათში ქალაქის პოლიციის უფროსმა თანამდებობა დატოვა. მე არ დაუშვებ, რომ უმიზეზოდ მოკლან ის ადამიანები, რომლებიც ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებას და სიცოცხლეს იცავენ, - განაცხადა პოლიციის შეფმა.

აღიარებითი ჩვენება ციხეში მოსახვედრად

ისეთ მნიშვნელოვან რამეს მოვიფიქრებ და ისე მოვიქცევი, რომ ციხიდან ჩემს ვაშვებს კვლავ გაბედავთ. ისეთ დანაშაულს ჩავიდენ, რომ ციხეში აუცილებლად მოვხვდები, თანაც ძალიან დიდი ხნით, - ასე დაეშუქრა უკრაინელი იური კრავჩენკო სამართალდამცველებს, რომლებმაც ის ციხის კედლებიდან გააცილეს.

საქმე ისაა, რომ იური კრავჩენკო ცოტა ხნის წინ, აღიარებითი ჩვენებით, სამართალდამცველებს თავად ჩაბარდა. მან გამომიძიებლეს განუცხადა, რომ შვიდი წლის წინ საკუთარი ძმა სიცოცხლეს გამოასალმა. იური კრავჩენკომ მის მიერ ჩადენილ მკვლელობაზე სამართალდამცველებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. მისი თქმით, ბლავგი იარაღი ძმას თავში რამდენჯერმე ჩაარტყა, შემდეგ კი მოკლული ძმა მიწაში ჩამარხა.

საკუთარი ძმის მკვლელობა შვიდი წლის განმავლობაში მანუხებდა. ახლა გადაწყვიტე, ჩადენილი გულწრფელად მო-

ვინაწიო და ამ მიმე დანაშაულისთვის შესაბამისი სასჯელი მოვიხადო, - განუცხადა გამომიძიებლეს იური კრავჩენკომ და მათ ის ადგილიც მიუთითა, სადაც, მისივე მტკიცებით, მოკლული ძმა დამარხა.

მითითებულ ადგილას მისულმა სამართალდამცველებმა, მიწა გათხარეს და გარდაცვლილის სხეულის ნაწილები აღმოაჩინეს.

მოგვიანებით, გამოძიების მსვლელობისას დადგინდა, რომ იური კრავჩენკოს გულწრფელი აღიარებითი ჩვენება სიმართლეს არ შეეფერებოდა და მკვლელობის სცენარი მან თავად გამოიგონა.

გამოძიება ამ დასკვნამდე მას შემდეგ მივიდა, რაც მიწიდან ამოღებულ გარდაცვლილის სხეულის ნაწილებს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა. ექსპერტებმა ერთხმად განაცხადეს, რომ გარდაცვლილს არანაირი ძალადობის კვალი არ აღენიშნებოდა. ექსპერტიზა განმეორებით რამდენჯერმე ჩატარდა და ყველა დასკვნა ერთმანეთის იდენტური იყო. ჩატა-

რებული ექსპერტიზების საფუძველზე, გამოძიებამ მკვლელობის ვერსია კატეგორიულად გამოირიცხა.

ამის შემდეგ, იური კრავჩენკო იძულებული გახდა, სიმართლე ეთქვა:

საკუთარი ძმის მკვლელობის ისტორია მიზანმიმართულად მოვიგონე. ერთადერთი ამ მინდოდა - მოვხვედრილიყავი ციხეში. ჩემი ძმა მართლაც შვიდი წლის წინ გარდაიცვალა, ოღონდ მისი სიკვდილის მიზეზი ალკოჰოლური ინტოქსიკაცია იყო. მე და დედაჩემს მისი ნორმალურად დასაფლავების საშუალება არ გავაჩნდა, ამიტომ ყოველგვარი ხარჯის გარეშე, ყველასგან ჩუმად, გარდაცვლილი ჩვენს სახლთან ახლოს მდებარე ერთ-ერთი ხეივნის ქვეშ დავასაფლავეთ, - ასეთი იყო იური კრავჩენკოს მეორე აღიარებითი ჩვენება.

საქმე ისაა, რომ იური კრავჩენკო სასჯელისგან ცოტა ხნის წინ გათავისუფლდა. ქურდობისთვის მას სამწლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. ციხიდან გამოსულს არც სამსახური და არც

სარჩო-საბადებელი აღარ გააჩნდა.

არსებობის არანაირი საშუალება არ გამაჩნია. ციხეში მოხვედრა იმიტომ მინდოდა, რომ იქ სახელმწიფო ჩემზე მზრუნველობას აიღებდა და ყოველ დღე უფასო სამჯერადი კვება მექნებოდა. ამიტომ, მკვლელობის ისტორია მოვიფიქრე. მინდოდა, ჩემთვის ხანგრძლივი პატიმრობა მოესაჯათ, - აცხადებს იური კრავჩენკო.

ჩვენ არანაირი უფლება არ გვქონდა, უდანაშაულო ადამიანი გავცესამართლებინა, რომელმაც მიმე გაჭირვებიდან გამოსვლისთვის განაჩენი საკუთარ თავს თავადვე გამოუტანა. სამწუხაროდ, არსებული ეკონომიკური კრიზისი ადამიანებს არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებს, არამედ მოქალაქეები მზად არიან, ციხეში უდანაშაულოდ მოხვდნენ და მათ კვებასა და არსებობაზე სახელმწიფო მზრუნველობდეს, - აცხადებენ იური კრავჩენკოს საქმის გამომიძიებლები.

წყალდიდობა ჩხეთსა და ავსტრიაში

ძლიერი წვიმის გამო ჩეხეთის რესპუბლიკაში, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ჩრდილოეთ მორავიაში წყალდიდობა სახიფათო მასშტაბებს იღებს. განსაკუთრებით მიმედ დაზარალდა ქალაქების ესეტინასა და ნოვი-იჩინის რაიონები. ესეტინას რაიონში ამოქმედდა კრიზისული სიტუაციების მართვის შტაბი. შტაბის წარმომადგენელთა მონაცემებით, რამდენიმე საათში წყლის დონემ რაიონის მდინარეებში 120 სმ-ით მოიმატა.

ნოვო-იჩინას მახლობლად, ყილინას დასახლებულ პუნქტში, მდინარეში წყლის დონემ ულ რამდენიმე წუთში 7 მ-მდე მოიმატა. ნოვო-იჩინას მერიის ცნობით, წყალდიდობას რვა ადამიანი უკვე ემსხვერპლა. ადიდებული მდინარეებიდან გადმოხეთქილმა წყალმა, დაახლოებით, 28 კმ-ის ფართობი დატბორა.

სტიქიური უბედურების ზონაში მოქცეულია ასობით საცხოვრებელი სახლი, შეწყვეტილია ავტოტრანსპორტის მოძრაობა. მოსახლეობის მატერიალური ზარალის გარდა, სერიოზულად არის დაზიანებული ბუნებრივი გავისა და ელექტროენერგიის მიწოდების სისტემებიც. წყალდიდობის არეალი გამოცხადებულია სტიქიური



AFP © 2009

უბედურების ზონად. მეტეოროლოგების თქმით, წყლის დონის ასეთი მკვეთრი მატება ჭარბი რაოდენობით ნალექმა გამოიწვია, რომელიც ჩრდილოეთ მორავიაში ოთხშაბათს საღამოს მოვიდა, თუმცა ძლიერი წვიმა რამდენიმე დღით ადრე დაიწყო. მეტეოროლოგების პროგნოზით, ძლიერი წვიმა ჩეხეთის რესპუბლიკაში კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდება. ჩეხეთის სამხრეთ ნაწილშიც არის მცირე მასშტაბის წყალდიდობა. სტიქიის მიერ მიყენებული ზარალის წინასწარი შეფასებით, იგი აღემატება 1997 წელს წყალდიდობით მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობას. 1997 წელს სტიქიამ რესპუბლიკას მატერიალურზე მეტი ადამიანური რესურსის ზარალი მიაღება - წყალდიდობას 50-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

ჩეხეთის რესპუბლიკის გარდა, ბოთ მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობას. 1997 წელს სტიქიამ რესპუბლიკას მატერიალურზე მეტი ადამიანური რესურსის ზარალი მიაღება - წყალდიდობას 50-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

ჩეხეთის რესპუბლიკის გარდა, ბოთ მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობას. 1997 წელს სტიქიამ რესპუბლიკას მატერიალურზე მეტი ადამიანური რესურსის ზარალი მიაღება - წყალდიდობას 50-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

სტიქიამ ავსტრიაც დაზარალა, სადაც ძლიერი წვიმის გამო ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთი და ცენტრალური რაიონები დაიტბორა. საინფორმაციო სააგენტო "ეი-პის" თანახმად, ძლიერი წვიმით ყველაზე მეტად ქვემო ავსტრიის, შტირიისა და ბურგენლანდის პროვინციები დაზარალდა. გავრცელებული ცნობებით, მთავარ სატრანსპორტო მაგისტრალს რამდენიმე დასახლებული პუნქტი მოსწყდა.

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, კალაპოტიდან გადმოვიდა ხუთი მდინარე, მათ შორის დუნაი. სტიქიას ებრძვის და ადგილზე მყოფ მოსახლეობას დახმარებას უწევს 10 ათასი მამული და 3 ათასი პოლიციელი. დატბორვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა მსოფლიოში სახელგანთქმული "ალბერტინას" მუზეუმი ვენაში. მუზეუმში ინახება მიქელანჯელოს, რემბრანდტისა და დიურერის შედევრები. მართალია, სურათების დაზიანების შესახებ ცნობები ჯერ არ გავრცელებულა, მაგრამ მუზეუმის დირექციამ უკვე გასცა ექსპონატების ევაკუაციის განკარგულება.

www.liberty.ge

თავისუფლება

N19

26 ივნისი 2009

"თავისუფლების ინსტიტუტის" საგაზეთო ჩანართი

საქართველოს განათლების რეფორმის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი სკოლების დეცენტრალიზაცია და მათი უფლებების გაზრდაა.

მართვის ამგვარი სისტემის მიზანი სკოლის მომსახურების უშუალო მომხმარებლების ანუ მშობლების და მასწავლებლების მუშაობის ხარისხის ამაღლებაა. ეს კი სამომავლოდ სკოლის განვითარებას უზრუნველყოფს. ამიტომ რეფორმატორებმა სკოლის სამოქმედო გეგმის შედგენა მშობლებისა და მასწავლებლებისგან შემდგარ სამეურვეო საბჭოს დააკისრეს. საბჭოს მოვალეობაა დირექტორის მიერ ამ გეგმის განხორციელების კონტროლიც. სამეურვეო საბჭო, დირექტორთან ერთად, სკოლის ფინანსურ შემოსავლებსაც განკარგავს და წლიური ბიუჯეტის შედგენაშიც მონაწილეობს. რეფორმის თანახმად, სკოლას უკვე დამოუკიდებლად შეუძლია, იზრუნოს შემოსავლების წყაროების მოზიდვაზე.

სკოლის შემოსავლების წყაროების ძირითად ნაწილს სახელმწიფო სახსრები შეადგენს. ეს ფული, როგორც წესი, მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებას ხმარდება. შემოსავლის გარკვეული ნაწილი სკოლის ფონდშიც არის, რომელშიც ფულს მშობლები ნებაყოფლობით რიცხავენ. სკოლის შემოწირულობებში კი მშობლების, ბიზნესმენების, ან სკოლის განვითარებით დაინტერესებული პირების და ორგანიზაციების ნებაყოფლობითი გადასახადები შედის. შესაძლოა, რომელიმე ფირმამ ეს საკუთარი რეკლამირების მიზნითაც გააკეთოს.

მოზიდული ფონდები დონორი ორგანიზაციებისგან მიღებული სახრებია, რომელიც კონკრეტული პროგრამების დასაფინანსებლად ირიცხება.

სკოლას შეუძლია, ფართიც გააქირაოს. ქირისა და სხვა საქმიანობიდან მიღებული თანხა კი დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულების მიხედვით, გადაანაწილოს. სხვა საქმიანობაში მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული სახსრებიც შედის. მოსწავლეთა დასქმებას ორმაგი დატვირთვა აქვს - სკოლისთვის მოზიდული ფინანსების გარდა ბავშვებს საკუთარი შრომით თანხის გამოუმუშავების კულტურაც უყალიბდება.

თბილისის 132-ე რუსულ-სომხური საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები ამ ინიციატივას დიდი ინტერესით შეხვდნენ:

ალეკო და ავთო ბელისკერიები

- "ჩვენთან ბევრი კარგად ცეკვავს და მღერის. ხუმრობა და პაროდია კომედი შოუზე კარგად შეგვიძლია. შეიძლება, სკეჩები გავაკეთოთ, რამდენიმე საცეკვაო და მუსიკალური ნომერიც შევასრულოთ და კონცერტი გაგმართოთ. ვინც ხატავს, სცენის დეკორაციებს, აფიშებს, მოსაწვევებს და ბილეთებს გავაფორმებინებთ. კონცერტს ჯერ უფასოდ გავმართავთ, რომ ხალხი მოვიზიდოთ, მერე - ფულით. ბილეთებს სხვა სკოლებში დავარიგებთ, მშობლებსაც ვაყიძინებთ. ინტერნეტში ვებგვერდის გაკეთებაც შეგვიძლია. საზოგადოებრივი მაუწყებლის სომხურენოვან მოამბესაც დავპატიჟებთ, რომ გააშუქოს. კონცერტიდან შემოსული თანხა თუ საკამრისი იქნება, სააქტო დარბაზს გავარემონტებთ.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პირველი ნაბიჯები სკოლებში

ხელოსნებზე, რომ ფული არ დაგვცხარჯოს, ჩვენც ვიმუშავებთ, მაგალითად კედლებს შევღებავთ. თუ ცოტა თანხა შეგროვდა, ბოლო ბოლო ექსკურსიაზე წავალთ და გავერთობით."

ირინა კალუცკაია - " ასეთი ღონისძიების მოწყობის გამოცდილება უკვე გვაქვს. შარშან კონცერტი ჩავატარეთ და ყველას ძალიან მოეწონა. იმ კონცერტიდან ბევრი ნივთი დაგვრჩა, რომლის მეორედ გამოყენებაც შეიძლება."

გარიკ აბრამიანი - "ჩვენ სკოლას დიდი სპორტდარბაზიც აქვს, მართალია, გასარემონტებელია და კარიც თითქმის არ აქვს, მაგრამ მაინც შეიძლება სპორტული წრეების გახსნა. ფეხბურთში და კალათბურთში ჩვენ შეგვიძლია ბავშვების მომზადება. სხვა სკოლებთან შეჯიბრებს გავმართავთ. შემოსული ფულით, შეიძლება, ჭადრაკის ტურნირი მოვანწყოთ და გამარჯვებულს პრიზები გადავცეთ. თუ ფული პირდაპირ არ შემოვა, ჩვენი სკოლის პრესტიჟი აინევს და მოსწავლეების რაოდენობაც გაიზრდება."

"მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა პირდაპირ კავშირშია სკოლის შემოსავლებთან" - აცხადებს სკოლის დირექტორი **სოფიო ოგანესოვა** - "ჩვენი სკოლის კონტინგენტი იმდენად მცირეა, რომ

ბავშვების ვაუჩერები მასწავლებელთა ხელფასებსაც არ ყოფნის. კომუნალური გადასახედაბისთვის ფულს სამინისტრო გვირიცხავს. მშობლების ნებაყოფლობითი შემოწირულობები უმნიშვნელოა. სკოლის განვითარებისთვის გაცილებით მეტი სახსრებია საჭირო. ვცდილობთ, როგორმე ეს თანხები ვიმოვოთ. ფართის გაქირავება გვინდოდა, მაგრამ წელს დენილების გამო ვერ მოხერხდა. ჩვენმა სკოლამ რამდენიმე პროექტიც დაწერა და გრანტზე წარადგინა, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია. თუმცა ფარხმალი არ დაეყარეთ. სამეურვეო საბჭოსთან ერთად, გადავწყვიტეთ, სკოლისთვის თანხის მოძიებაში ბავშვებიც ჩაგვეერთო.

ვთხოვეთ, დაეწერათ, რისი გაკეთება შეუძ

ლიათ საკუთარი სკოლისთვის. უამრავი საინტერესო იდეა მოგვანოდეს. მაგალითად, სკოლის სტიმულირებისთვის ღონისძიებების ჩატარება შემოგვთავაზეს. სპორტული ტურნირების მოწყობა უნდათ. ასევე საკუთარი ხელით შექმნილი ნივთების გაყიდვა. ჩვენ ყველაფერში დავეხმარებით და სექტემბრიდან მათ ჩანაფიქრს განვახორციელებინებთ."

სოფიო ოგანესოვას თქმით, მათ სკოლას სომხეთიდან მხოლოდ სომხურენოვან სახელმძღვანელოებს უგზავნიან. სკოლამ უცხოეთის სომხურ დიასპორასთანაც სცადა დაკავშირება, თუმცა მათგან ფულადი ან სხვა სახის დახმარება ჯერ არ მიუღიათ.

თბილისის მიხეილ გრუშევსკის სახელობის უკრაინული სკოლის შემოსავლების სოლიდურ ნაწილს კი მსოფლიოს უკრაინული დიასპორის დახმარება შეადგენს. ამ სკოლაში 186 მოსწავლეა, რომელთა ვაუჩერული ფული მასწავლებელთა ხელფასის მხოლოდ 82%-ს შეადგენს. სახელფასო ფონდს ვერც განათლების სამინისტროს მიერ ყოველთვიურად გამოყოფილი 1700 ლარი ავსებს.

"საქართველოში, რომ ძლიერი უკრაინული დიასპორა არ გვყავდეს, სკოლას სერიოზული ფინანსური პრობლემები ექნებოდა." - აცხადებს

სკოლის დირექტორი ანა პავლოვა. - " ჩვენი მშობლები ამ დიასპორის წევრები არიან. მაგალითად, ლარისა ბოჭორიშვილი ერთ-ერთი უკრაინული ფირმის საქართველოს ფილიალის პრეზიდენტია იგი მუდმივად გვეხმარება. ოთარ მამულაშვილს კი მეტალო-პლასტმასის ფანჯრების ქარხანა აქვს და გატეხილ მინებს უფასოდ გვიცვლის. საქართველოს ხელისუფლებისა და ჩვენი დიასპორის გარდა უყურადღებოდ არც უკრაინა გვტოვებს. რამდენიმე ხნის წინ იქიდან 200 მერხი, 400 სკამი, 30 კარადა და ტელევიზორები მივიღეთ. ამის გარდა საქართველოდან ყოველწლიურად - 30-ს, ხოლო ჩვენი სკოლიდან 10 ბავშვს განათლების მისაღებად უკრაინაში ვაგზავნით. ისინი სტიპენდიითა და საერთო საცხოვრებელითაც უზრუნველყოფილი არიან. 2007 წლამდე ჩვენ მთლიანად უკრაინიდან ვფინანსდებოდით. საქართველოს განათლების რეფორმის შემდეგ გარკვეული დახმარება აქაური განათლების სამინისტროდანაც გვაქვს.

მშობლები სკოლის ფონდში ნებაყოფლობით იხდიან თანხებს. ზოგი 100-ს ზოგი - 500 ლარს. ამით ჩვენ სახელფასო ფონდს ვავსებთ, მაგრამ სხვა ხარჯებისთვის ფული აღარ გვრჩება. არადა კომუნალური ხარჯები გასასტუმრებელია, რადგან სკოლაში გაზი შუქი, ტელეფონი და ფასიანი ინტერნეტი ყოველთვის გვაქვს. ყველაფერი ამის დასაფინანსებლად კი შემოსავლების სხვა წყაროების ძებნა გვინევს. დავეწერე პროექტები კომპიუტერის შესაძენ თანხასა და მეთოდური ლიტერატურის უზრუნველყოფაზე უკრაინაში და მოვიგე გრანტები. ამის გარდა გვაქვს ბიზნესმენებთან ურთიერთობები, რომლებსაც ესმით ჩვენი საქმის სერიოზულობა და გვეხმარებიან კიდევ. მაგალითად მაგთიფიქსმა ტელეფონი გვაჩუქა. ტაიპირივანკამა, სადაც ერთ-ერთი ხელმძღვანელი უკრაინელია, შარშან ბოლო ზარი დაგვიფინანსა. სხვა ქართულ ბანკებსაც მივმართე, მაგრამ მხოლოდ ის ბანკები დაგვეხმარა, რომლებსაც უცხოელები ხელმძღვანელობენ. იმედი მაქვს მომავალში ასეთი შემოწირულობები საქართველოსთვისაც ნორმა გახდება.

ჩვენი სკოლა საერთაშორისო კონკურსებშიც მონაწილეობს, საიდანაც სიგელებთან ერთად, მატერიალური ქონებაც მოგვავს. მაგალითად, 4 წლის წინათ მთელი სკოლისთვის სპორტული კოსტიუმები მოგვცეს. უფრო ადრე სანფრანცისკოს ქალებმა ჩვენი სკოლისთვის სტიპენდია გამოყვეს და დაყოველთვიურად 50 ადამიანი 50 დოლარს იღებდა. ასე რომ სადაც მივდივარ, რაც შემიძლია, ის მომაქვს.

ჩვენი სკოლა იმდენად პატარაა, რომ ერთი ოჯახივით ვართ. ბიუჯეტის განერაში ჩვენი სამეურვეო საბჭო კი არა ყველა თანამშრომელი და მშობელი იღებს მონაწილეობას. ისინი არჩევანში მენდობიან, მაგრამ არც ერთ შენაძენს სამეურვეო საბჭოს გარეშე არ ვაკეთებ."

ირანში შეტაკებები ბრძოლდება

მარიკა იაფილი

თეირანის ქუჩებში პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის მორიგი შეტაკება მოხდა. დაპირისპირების მიზეზად ის იქცა, რომ ოპოზიციის მომხრეები აქციების ჩატარების აკრძალვას არ დაემორჩილნენ. თვითმხილველთა თქმით, მანიფესტაციის დასაშლელად სამართალდამცველებმა ხელკეტები და ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს. თუმცა იმის გამო, რომ ქვეყანაში ჟურნალისტების საქმიანობა ჯერ ისევ მკაცრად იზღუდება, ინფორმაციის გადამონშება ვერ ხერხდება.

დარბევის პასუხად, მანიფესტანტები პოლიციას ქვებს ესროდნენ და ქუჩებს კეტავდნენ. თვითმხილველთა მტკიცებით, აქციაში რამდენიმე ასეული ადამიანი მონაწილეობდა.

ირანის სახელმწიფო ტელევიზიამ დემონსტრაციის დროს დაკავებული პირები აჩვენა, თუმცა მათი სახეები დაფარული იყო. დაკავებულებმა ტელეკამერების წინ აღიარეს, "რომ აქციებში მონაწილეობისკენ მათ უცხოური საინფორმაციო საშუალებები, კონკრეტულად კი ბი-ბი-სი და ამერიკის ხმა" უბიძგებდნენ. გარდა ამისა, მათ განაცხადეს, რომ ძალას არა პოლიცია, არამედ მხოლოდ დემონსტრანტები იყენებდნენ. ჩვენ ვწვავდით სახელმწიფო ქონებას და ავტომობილებს, შენობების ფანჯრების ქვებს ვესროდით," - განაცხადა ტელევიზიის ეთერში ერთ-ერთმა დაკავებულმა.

ისლამისტური რევოლუციის დამცველებმა წინასწარ გააკეთეს განცხადება, რომ დემონსტრაციის



AFP - 2009

ჩასახშობად ძალის გამოყენებას აპირებდნენ. საპროტესტო აქციების კოორდინაციისთვის ოპოზიცია ინტერნეტ-ქსელს იყენებს, თუმცა ბოლო დღეების გამოსვლები მასშტაბურობით ვერც შეედრება გასულ კვირას გამართულ მანიფესტაციებს, როდესაც თავისი უკმაყოფილების დასაფიქსირებლად დედაქალაქის ქუჩებში ასობით ათასი ადამიანი გამოდიოდა.

ირანის უმაღლესმა ლიდერმა კიდეც ერთხელ გააკეთა ოფიციალური

განცხადება, რომ ქვეყნის ხელისუფლება არ დაემორჩილება ოპოზიციის ზეწოლას 12 ივნისის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გადამონშებისთვის, რომლის მიხედვით, ოფიციალური ვერსიით, მოქმედმა პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა.

მიუხედავად მათ წინააღმდეგ გამოყენებული ძალისა, ოპოზიციის ბევრი მომხრე ლამდამობით სახლის სახურავზე ადის და ალაჰ აკბარს ყვირის. ანალოგიურ ტაქტიკას იყე-

ნებდნენ რევოლუციონერები ირანში 30 წლის წინანდელი ისლამისტური რევოლუციის დროსაც.

ოფიციალური მონაცემებით, არეულობების შედეგად ქვეყანაში 17 ადამიანი დაღუპული. მათ შორის არიან ქალებიც. თუმცა, თვითმხილველები აცხადებენ, რომ პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის ორი კვირის განმავლობაში მომხდარი რამდენიმე შეტაკების მსხვერპლი, ბევრად უფრო ბევრია. მაგრამ იმის გამო, რომ უცხოელ ჟურნალის-

narciso rodriguez
PARFUMS

სოფო ჩიხლაძე

ნარცისო როდრიგესის პარფიუმერიის შექმნა უკვე საქართველოში ისი პარის მაღაზიების ქსელშია შესაძლებელი. უმაღლესი კლასის ბრენდის შემოტანის შესახებ ისი პარისა და ცნობილ პარფიუმერულ ჯგუფ ბი-პი-აი-ს შორის მოლაპარაკებები რამდენიმე წლის მანძილზე მიმდინარეობდა აღსანიშნავია, რომ კომპანია ბი-პი-აი -მ წარმატებით შექმნა არომატული სახელი მოდის დიზაინის ორი სიმბოლოსთვის - ისი მიაქისა და ჟან პოლ გოტიესთვის, როგორც სუნამოებისა და ფუფუნების რისიკიანი სამყაროს უდავო მოთამაშეებისთვის. 2001 წელს ბი-პი-აი -მ წამოიწყო ახალი თავგადასავალი მესამე დიზაინერის - ნარცისო როდრიგესის შემოქმედებით ნიჭის გასახსნელად. აღსანიშნავია, რომ ისი პარი კომპანია ბი-პი-აი -ს ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში ჩვენს მაღაზიათა ქსელში ჟანპოლ გოტიეს და ისი მიაქის პარფიუმერიას მომხმარებელს უკვე დიდი ხანია ვთავაზობთ. რა თქმა უნდა, იყო მოლოდინი, რომ მესამე ბრენდსაც ჩვენ წარმოვადგენდით საქართველოში, უბრალოდ ამას წლები დასჭირდა, რადგანაც Narciso Rodriguez უმაღლესი კლასის ბრენდია. კომპანია ბი-პი-აი -ს მარკეტინგული ჯგუფი ძალიან მკაცრად ახდენს იმ ქვეყნების შერჩევას, სადაც Narciso Rodriguez-ის პარფიუმერია უნდა იყოს წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, მოხარული ვართ, რომ ამ რჩეულ ქვეყანათა შორის საქართველო და ისი-პარი მოხვდა. ჩვენს მაღაზიათა ქსელში მთლიანად შემოვიდა ნარცისო როდრიგესის ბრენდი, აქ არის სუნამო, ტანის ხაზი და ა.შ. - აცხადებს ისი-პარის პიარ მენეჯერი ხატია შამუგია.

თავდაპირველად Narciso Rodriguez-ის პარფიუმერია 5 ქვეყანაში შეიტანეს და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა



იყოს, მათ შორის ვერ მოხვდა საფრანგეთი. დღეისათვის ეს ბრენდი, საქართველოს ჩათვლით, 30-მდე ქვეყანაშია წარმოდგენილი. კომპანია ბი-პი-აი -ს ტრენინგ მენეჯერი უკვე სამი დღეა, საქართველოში იმყოფება და ისი პარის კონსულტანტებს Narciso Rodriguez-ის ყველა ხაზის შესახებ ტრენინგებს უტარებს. გუშინ კი სასტუმრო კორთიარდ მარიოტის საპრეზიდენტო აპარტამენტში ბი-პი-აი -ს ტრენინგ მენეჯერმა კატია აკერმანმა Narciso Rodriguez-ის სხვადასხვა ხაზის პრეზენტაცია გამართა. თბილისი მარიოტის ლუქსში პრეზენტაციის მოწყობა სწორედ ამ კომპანიის მოთხოვნა იყო, რადგან აცხადებენ, რომ ეს Narciso Rodriguez-ის შემოქმედებისათვის შესაფერისი გარემოა. მიუხედავად იმისა, რომ ნარცისო როდრიგესი უმაღლესი კლასის ბრენდია, როგორც კატია აკერმანი აცხადებს, საქართველოში მისი ღირებულება ხელმისაწვდომია. ნარცისო როდრიგესის 50-მილიგრამიანი სუნამოს შეძენა ისი-პარში 175 ლარად არის შესაძლებელი, 100 მილიგრამიანის ღირებულება

კი 240 ლარს შეადგენს.

წარმოშობით კოლუმბიელი დიზაინერი ნარცისო როდრიგესი ამერიკაში ნიუ ჯერსის შტატში დაიბადა. 1982 წელს დაამთავრა პარსონსის დიზაინერთა სკოლა და ამის შემდეგ დაიწყო მისი სადიზაინერო კარიერა ისეთ ცნობილ და დიდ ამერიკელ დიზაინერებთან თანამშრომლობით, როგორებიც არის ენი კლეინი და კელვინ კლაინი. 1995 წელს ნარცისო როდრიგესი ჩერუტის სამოდელო სახლის არტ-დირექტორად დაინიშნა და სწორედ მას დაეკისრა ჩერუტის სამოდელო სახლის განახლების მისია.

საკუთარი სამარკო ნიშნით პირველი ქალის კოლექციის ჩვენება მან 1997 წელს მილანში გამართა, რაც ნიუ იორკში მოგვიანებით, 2001 წელს ნახეს. ნიუ იორკი მისი საყვარელი ქალაქი და შთაგონების წყაროა. 2002 და 2003 წლებში ნარცისო როდრიგესს Council of Fashion Designers of America-სგან ზედიზედ მიენიჭა წლის საუკეთესო დიზაინერის ტიტული.

2003 წელს მან გამოუშვა ქალის პირ-

ველი არომატი narciso rodriguez for her. ეს სუნამო, როგორც სპეციალისტები აცხადებენ, უთავრეს ქალურ ძალას წარმოაჩენს. 2004 წელს narciso rodriguez for her eau de toilette გახდა წლის საუკეთესო სუნამო ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში (Fifi award), ხოლო 2005 წელს კი საფრანგეთში იგივე დაჯილდოვებულა.

2005 წელს ნარცისო როდრიგესმა გამოუშვა მამაკაცებისთვის სამოსი და სუნამო narciso rodriguez for him. 2006 წელს Fifi Award-ზე narciso rodriguez for her eau de parfum გახდა წლის საუკეთესო სუნამო ამერიკაში. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 1 ივნისს ნარცისო როდრიგესმა გამოუშვა ახალი არომატი ქალებისთვის narciso rodriguez essence. დიზაინერი თითოეული არომატის შექმნაში თავად მონაწილეობს. როგორც ექსპერტები აცხადებენ, essence-ს შექმნის ეტაპებზე შემოქმედებით ჯგუფს ამოძრავებდა ძლიერი ემოციები, ვნებათაღელვა და ნათელი მიზნის გააზრებული ხედვა. აღსანიშნავია, რომ ნარცისო როდრიგესის მიერ შექმნილი ყველა სუნამოს ფლაკონი განსაკუთრებულია და როდრიგესის შემოქმედებითი ხედვის კიდევ ერთ გამოხატულებას წარმოადგენს. ნარცისო როდრიგესის შთაგონება მოდის ქალისგან... და იქმნება ქალისთვის. მისი ქმნილებები სილამაზისა და მგრძნობელობის ზეიმი. გარდა კაბისა, სხვა რით შეიძლება უფრო ბუნებრივად შემოსო ქალი, თუ არა არომატით, სურნელოვანი აურით, ქალური მომხიბვლელობის ნამდვილი გამოხატულებით. ბი-პი-აი"-ს თანხლებით ნარცისო როდრიგესი შეუდგა სუნამოების შექმნის გზას, რათა ასე გამოეხატა შთამაგონებელი ქალის და მუხის თავისუფალი ხედვა. ნარცისო როდრიგესი თავის სუნამოს სიყვარულითა და მადლიერებით უძღვნის ყველა ქალს, როგორც შთაგონების წყაროს... რაც შეეხება ნარცისო როდრიგესის სამოსს,

ტებს ოფისების დატოვება აკრძალული აქვთ, ამ ინფორმაციის გადამონშება ვერ ხერხდება.

რეპრესიები არა მხოლოდ მანიფესტანტებს, არამედ ქვეყნის ინტელიგენციასაც შეეხო. ოპოზიციის ლიდერ მირ ჰოსეინ მუსაუვის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, მუსაუვისთან გამართული შეხვედრის შემდეგ 70 ირანელი მეცნიერი პოლიციაში დააკავეს.

სად წაიყვანა პოლიციამ დაკავებული, ჯერჯერობით უცნობია.

თუ ირანში შექმნილი ვითარებითა და იმ ლონისძიებებით ვიმსჯელებთ, რასაც ხელისუფლება ქვეყნის ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეების წინააღმდეგ იყენებს, მუსაუვისა და მის მხარდამჭერებს მიზნის მისაღწევად სულ უფრო ცოტა დრო და შანსი რჩებათ.

არჩევნების შედეგებით უკმაყოფილებას მხოლოდ დემონსტრანტები არ გამოხატავენ. ირანის პარლამენტის ასზე მეტმა წევრმა აჰმადინეჯადის გამარჯვების აღსანიშნავად გამართულ საზეიმო საღამოზე მიწვევას იგნორირება გაუკეთა.

ოთხშაბათის საზეიმო ვახშამზე მეჯლისის 290-ვე დეპუტატი იყო მიწვეული, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, ლონისძიებაზე 105 ადამიანი არ მისულა.

მოსალოდნელია, რომ ირანში შექმნილი ვითარება განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება განვითარებული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, რომელიც იტალიაში, დიდი რვიანის" სამიტის ფარგლებში გაიმართება.

რევოლუ

NEWSPAPERS - თანამედროვე პლაკატის გამოფენა "არსში"

სოფო კილაშონია

2009 წელი ალბათ არის ეტაპი, როცა საქართველოს მოქალაქე გრძნობს და განიცდის, რომ ცხოვრება მოუწია იმ ისტორიულ მონაკვეთში, რომელიც ერთ-ერთი გარდამტეხია ქვეყნისთვის, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სამომავლოდ ამ პერიოდზე ბევრს ისაუბრებენ, ასეთ დროს თითქოს იკარგება პირადული, ინტიმური... არის განცდა, რომ ყველაფერი დღესვე ისტორიის საკუთრება ხდება, თითოეული ტექსტი, თითოეული დღე ახალი ამბების ნაწილია, ყველაფერი მეტისმეტად ღიაა და პლაკატური. ასეთ დროს სიცოცხლე ყველაზე მეტად თითქოს პლაკატის ადეკვატურია და ადამიანები მთავარი მესიჯებით ვემაყოფილებით. ასეთ დროს შეტყობინებაც სრულიად კმარა, საჭირო აღარაა არაფერი ზედმეტი. ალბათ ამ ყველაფრის გამო დაარქვეს "არსის" გალერეაში გუშინ გახსნილ გამოფენას - NEWSPAPERS.

"არსის" საგამოფენო სივრცეში ორმოცდათამდე თანამედროვე ქართული პლაკატის ნიმუში გამოიფინა. ავტორებს ალბათ ბევრი რამ როგორც აერთიანებთ, ისე განასხვავებთ, მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ ისინი ცნობილი გრაფიკოს-დიზაინერის, პროფესორ თამაზ ვარვარიძის სახელოსნოს სტუდენტები არიან. სახელოსნო ფუნქციონირებს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახეითი ხელოვნების ფაკულტეტზე და აქვს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები (www.art.edu.ge; www.studio.varvaridze.com).

თამაზ ვარვარიძის სახელოსნოში გრაფიკული დიზაინის სხვადასხვა მიმართულებებს ეცნობიან, თუმცა გამოფენისთვის ტრადიციულად პლაკატს ირჩევენ, სავარაუდოდ როგორც თვითგამოხატვის საუკეთესო ფორმას.

პლაკატი არტეფაქტია და ინფორმაცია. საუკეთესო ნიმუშიც ის



სოფო კილაშონია ფოტო

არის, რომელიც ყველაზე ლაკონურად, ზუსტად და მხატვრული ორიგინალით ამბობს სათქმელს - ანუ მაინც ინფორმაციას, მთავარ მესიჯს.

2009 წელს ახალგაზრდა მხატვრების მიერ შექმნილ ნამუშევრებში გან-

საკუთრებულად აქტიურია ინფორმაციული ხაზი ომის შესახებ. თუმცა იხილავთ სარეკლამო პლაკატის ნიმუშებსაც. პლაკატები "აპიარებენ" ჯერ არარსებულ ბრენდებს, ახლებურად გვანახებენ ცნობად პროდუქციას, შე-

მოქმედებითად უდგებიან სრულიად უტილიტარულ ნაწარმს და კლასიკოსთა შედეგებს (კინოსა თუ სპექტაკლს) თავისებური რედაქციით წარმოგიდგენენ.

გამოფენის ორგანიზატორია თბი-

ლისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, მთავარი პარტნიორი - "არსი", თანაორგანიზატორი - თანამედროვე ხელოვნების არქივი - "არქიდრომი". "არსი" ექსპოზიციას 2 ივლისამდე უმასპინძლებს.



ბაზალეთის სასტუმროთა ჯგუფი ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი

დაისვენეთ, გაერთეთ, შეიგრძენით ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი!



ტელ: +995 32 75 53 66 +995 32 75 53 67, E-mail info@bazaletilake.ge reservation@bazaletilake.ge, www.Bazaletilake.ge

25 ივნისი

თეატრი

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრი

ბაკულას ღორები

რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი

დასაწყისი: 19.00

თავისუფალი თეატრი

5 დღე უმუშევარი მსახიობების ცხოვრებიდან

რეჟისორი გ. შალუტაშვილი

დასაწყისი: 19.00

პანტომიმის თეატრი

სტუმარ-მასპინძელი

რეჟისორი ა. შალიკაშვილი

დასაწყისი: 19.00

კინო

ამირანი

ტრანსფორმერები

დასაწყისი: 12:30; 16:00; 19:45; 22:15;

მფრინავი სახლი

დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00;

შეთავაზება

დასაწყისი: 20.00; 22.00;

საქართველო

მაგადასკარი 2

დასაწყისი: 13.00;

X ადამიანი

დასაწყისი: 17.00; 19.00; 21.00

ანგეტილები 4

დასაწყისი: 15.00;

გამოფენები

ექსპო ჯორჯია

ნიგნის ფესტივალი

ქარვასლა

საქართველოს გზები - ისტორია და თანამედროვეობა

ტექსტილი ინტერიერში

ბაია

პირველი შთაგონება - რეგინა ანდრიანოვას პერსონალური გამოფენა

სახაფხულო სიურპრიზი გავეშვას.

პირველკლასელთათვის გამოვიდა ახალი საბავშვო წიგნი **"სწავლობს გიგლა ტიტინა"**. გამოცემლობა **"ლეიას"** მიერ დაბეჭდილი წიგნი **ნათელა მაღლაკელიძემ** და **მზია ჯიმ-შიტაშვილმა** შეადგინეს. ამგვარი წიგნები დიდი ხანია აპრობირებულია ევროპის სკოლებში. მისი მიზანია განუვითაროს მოსწავლეებს ის სასწავლო უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ პირველ კლასში მიიღეს. წიგნში წარმოდგენილია დიდაქტიკური მასალა მშობლიურ ენაში, ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკაში, შედგენილია ამ ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. მოცემული დავალებები სახალისოა. გაფორმებულია საინტერესოდ. მხატვრული გაფორმება **ლია ბეროშვილს** ეკუთვნის, კომპიუტერული გრაფიკა და დიზაინი კი **რუსუდან თურქაძეს**. მსურველებს წიგნის შეძენა შეუძლიათ სასკოლო სახელმძღვანელოების მაღაზიაში (ცოტნე დადიანის ქუჩა №43). იმედია, ეს წიგნი პატარების მოწონებას დაიმსახურებს.

18 საათი და 27 წუთი

ცაში და ხმელეთზე საქართველოს გადასაღებად

თამარ ქიქნაშვილიძე

საქართველოს გზები - ისტორია და თანამედროვეობა - აი, ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც გუშინ თბილისის ისტორიის მუზეუმში - ქარვასლა გაიხსნა და 30 ივნისამდე გაგრძელდება. ექსპოზიციის სანახავად მისულ დამთვალიერებელს საგამოფენო დარბაზში საგზაო ნიშნები შეუძლებს, კედლებზე კი დიმიტრი ერმაკოვის, ალექსანდრე როინაშვილისა და გოგა ჩანადირის ფოტონამუშევრები დახვდება.

პროექტი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი-სა და მისი თავმჯდომარის, რამაზ ნიკოლაიშვილის ინიციატივით განხორციელდა. აღნიშნული დეპარტამენტის დაკვეთით, ფოტოგრაფმა გოგა ჩანადირმა მთელი საქართველო მოიარა და ფირზე აღბეჭდა გზებისა და ხიდების რეაბილიტაციისა და მშენებლობის პროცესი, განახლებული მოქმედი ავტომაგისტრალები. ვფიქრობ, ამ პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანი საქმეა. საქართველოში გზებისა და ხიდების მშენებლობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მეგზვეთა ღირსეული თაობების პატივისცემა, მათი ღვაწლის დაფასება აუცილებელია, რათა ეს დარგი განვითარდეს და პრესტიჟული გახდეს, - გვითხრა რამაზ ნიკოლაიშვილმა.

ექსპოზიციაზე, რომელმაც დამთვალიერებელთა ინტერესი გამოიწვია, სულ 80 ფოტოა წარმოდგენილი. აქედან, 40 ფერადი ნამუშევარი - გოგა ჩანადირს ეკუთვნის, დანარჩენი შავ-თეთრი კი - ცნობილ ფოტოგრაფებს, დიმიტრი ერმაკოვსა და ალექსანდრე როინაშვილს. ამ უკანასკნელთა ნამუშევრები იმ ფონიდან შერჩა, რომელიც თბილისის ისტორიის მუზეუმში ინახება.

ცნობილი იტალიელი არქიტექტორის, ლუდვიგ (ლუიჯი) კამბიაჯოს ოჯახში დაბადებული დიმიტრი ერმაკოვი (მამინაცვლის გვარს ატარებდა) საქართველოსა და კავკასიაში ბევრს მოგზაურობდა. გამოფენაზე

ზე ექსპონირებულ ნამუშევრებში ასახულია ერმაკოვის მიერ, ძირითადად, XIX ს-ში გადაღებული საქართველოს გზები, ხიდები და გვირაბები. ამ სერიამი განსაკურებული ადგილი უჭირავს საქართველოს სამხედრო გზის ხედებს. დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა ნახოს დიმიტრი ერმაკოვის მიერ გადაღებული ყაზბეგის სადგური, დარიალის ხეობა, მცხეთა XX საუკუნის 10-იან წლებში, კობის დაღმართი, მდ. თერგის შესართავი, მთა ღმერთო დამიფარე, თოვლის წმენდა - გულაური, ხიდები მდ. თერგზე, საგუმბაგო ანანურთან, ხიდი უნივერსიტეტთან, მღეთის აღმართი და სხვა. ისტორიული არქივიდან ალექსანდრე როინაშვილის ფოტოებიც საგანგებოდ ამ გამოფენისთვის გამოამზერეს. პირველმა ქართველმა მესურათბეტმ 1880-88 წლებში შექმნა კავკასიის ხედებისა და ტიპაჟების ამსახველი ფოტოალბომი, რომელშიც საქართველოს გზებისა და ნაგებობების ფოტოებიც არის შესული. ამათგან ექსპოზიციაზე გამოფენილია:

სოფელი ანანური, დარიალის ხეობა, სიონი, მცხეთა, თბილისი - ერენის მოედანი და სხვა.

გოგა ჩანადირის ნამუშევრებს რაც შეეხება, დიდი ზომის ფოტოებზე აღბეჭდილია საქართველოს გზები, რომლებიც სხვადასხვა რეგიონში, ქალაქსა და სოფელში გადის. მათ შორის აღსანიშნავია: აბანოს უღელტეხილი, თუშეთი, გოდერძის უღელტეხილი, წვირმო, სვანეთი, გზა ასპინძასთან, გზა ვარძიასთან, რომეკა ხევსურეთი, ზარზმა-ბეშუმის გზა, მცხეთა-თბილისის დამაკავშირებელი გზა, ხიდი გორთან, იფარი-უმგულის გზა, სვანეთი და ა.შ. ამ ნამუშევრებს თან ახლავს გოგა ჩანადირის ტექსტი, სადაც ავტორი იმ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს, რომელიც მას ერმაკოვისა და როინაშვილის გვერდით დასახელებამ აგრძნობინა. მართალია, გამიხარდა, რომ საქართველოს ახლანდელი გზების ფოტომატეანეს შესაქმნელად საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მე მიმინვია, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ უდიდესი

ფოტოკონკურსი სტუდენტებისთვის

ქაა ჩიქანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის VI კორპუსში გუშინ ფოტოკონკურსი გაიმართა, სადაც სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტის 16 სტუდენტი იღებდა მონაწილეობას. გამოფენაზე თითოეული მონაწილის სამი ფოტო იყო გამოფენილი. კონკურსის თემატიკა არ იყო შეზღუდული, წარმოდგენილი იყო როგორც ქალაქის პეიზაჟები, ისე ფსიქოლოგიური პორტრეტები, ამიტომ სამკაცინა ჟიურის არჩევის გაკეთება საკმაოდ გაუჭირდა. ჩვენი მთავარი მიზანია სტუდენტების შემოქმედებითი მუშაობა წავახალისოთ და ფაკულტეტის ბიუჯეტში ამისთვის საჭირო თანხაც გვაქვს გამოყოფილი. მრავალფეროვანი და საინტერესო ნამუშევრებია, მათში კარგად ჩანს სტუდენტების ხედავა, - ამბობს სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტის დეკანი ნოდარ ბელქანიძე.

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ჟიურიმ გამარჯვებულები გამოავლინა. ჯილდო მცირედი იყო, პატარა საჩუქარი, რომელიც სტუდენტებს შეეფერებოდათ და საჩუქრად დარჩებოდათ. პირველ ადგილზე მეოთხე კურსის სტუდენტი ირაკლი ხვადაგიანი გავიდა, რომლის ნამუშევარი ჟიურიმ ერთხმად აღიარა. მას 100-ლარიანი კუპონი გადაეცა საჩუქრად, რომლის საშუალებითაც მას წიგნის სახელ პარნასში წიგნების ყიდვა შეუძლია.

მეორე ადგილი თეონა დალაქიშვილის ნამუშევარმა დაიკავა, მას 70-ლარიანი კუპონი გადაეცა, ხოლო მესამე ადგილის მფლობელმა ანი

პიკასო თუ თარგამაძე

სოფო კილასონია

საქართველო პარადოქსების ქვეყანად ვაქციეთ და ამ პარადოქსულობაში არა მგონია, ვინმემ რაიმე ტიპის ხიბლი დაინახოს, პირიქით, ერთადერთი რასაც ის ინვესტ - არათანმიმდევრულობაა, არათანმიმდევრულობა ყველაფერში. კვირას ხელოვნების მუზეუმში პიკასოს გამოფენა გაიხსნება, ექსპოზიციას სიღნაღიდან თბილისში ჩამოიტანენ. ამ გამოფენის იმედოდ ვიტყვით, რომ საქართველო შორს არაა ევროპისგან და სულ პატარაა მანძილი ჩვენს შორის... დაახლოებით იგივე გვაფიქრებინა რამდენიმე დღის წინ ეროვნული მუსიკალური ცენტრის მიერ ოპერის თეატრში გამართულმა კონცერტმა. მუსიკოსები მეორე დღეს ფრანკ-ფურტში გაემგზავრნენ, სადაც ასევე წარმატებული საღამო ჰქონდათ, ჩვენ გვინდა მოცარტიც ისე შევასრულოთ, როგორც კრიმანჭული ნიშნად იმისა, რომ ჩვენ ევროპის ენაზე ვსაუბრობთ და ვცდილობთ, ეს შევძლოთ. ბოლო ერთი წლის 24 საათის კულტურის გვერდებს რომ გადავხედოთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ქვეყანაში კულტურა არის და პროცესებიც იგრძნობა, შესაბამისად ეს ქვეყანა ვითარდება. მაგრამ არ დაიჯეროთ, საქართველო ვერ ვითარდება, ქართველები სადღაც კი მიდიან, მაგრამ არა წინ, არამედ უკან. იქ, სადაც ჩვენი თანამედროვე გმირები გვექაჩებიან... ჩვენ პრეტენზია გვაქვს, სრული ინტეგრაცია მოვახდინოთ ევროპასთან, მაგრამ, ალბათ, ამ ევროპაში მიწას ვგულისხმობთ. სხვაგვარად გაუგებარია, რატომ ვერ ვღებულობთ ევროპულ ფასეულობებს, არ გვსურს გავიზიაროთ ის დიდი კონცეფცია, რომელსაც დასავლეთი წარმოადგენს. მაშინ რატომ არ ვამბობთ სიმართლეს, რომ ჩვენ ვერ დავძლიეთ რუსეთის გუბერნიად ყოფნის სურვილი, ვერ დავძლიეთ ეს უბედური ნოსტალგია. ზუსტად ვერ ვხვდები, რას გულისხმობენ, როცა ამბობენ, რომ ძალიან მარტივად ააშენებენ ლამაზ საქართველოს. სხვა გზას ვინ მიუხედავებს? უნდა ვენდო, მიუხედავად იმისა, როცა ჩემი პოზიციის ადამიანს ეუბნებიან, თუ არ გჯერა გაიარე და თავი დაგვანებე, ჩვენ მივხედავთ ამ ქვეყანას არადა, ამის მეტი ამ ბოლო დროს არაფერი მესმის იმ პოლიტიკოსებისგან, რომლებსაც დიდი ცვლილებები სწადიათ, რომლებსაც ოპოზიციონერები ჰქვიათ და წესით მათ უნდა ეტვირთათ ყველაზე მთავარი - ოპონირება განვითარებისთვის და არა ომი ძალაუფლებისთვის. ეს განვითარება კი სწორედ მათი ინიციატივით უნდა დაწყებულიყო. ეს უნდა ყოფილიყო იმაზე დიდი ბრძოლა ამ ევროპული ფასეულობების დასამკვიდრებლად, ვიდრე ამას არსებული ხელისუფ-



ლება წარმოიდგენდა. ბრძოლა ლუსიტრაციის კანონის მისაღებად, დახვეწილი საარჩევნო კანონისთვის, მერის პირდაპირი გზით არჩევნებისთვის და ა.შ. - ეს ის საფეხურები უნდა გამხდარიყო, რომელზე ასვლაშიც საზოგადოება მათ გვერდით დადგებოდა. სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში კი ამ გზას უნდა ეთამაშა გადამწყვეტი როლი, მაგრამ საბოლოოდ რა მივიღეთ? ბრძოლა და ვნებები უამრავი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ბრძოლა განვითარებისთვის, გაზრდისთვის, შედეგებისთვის. ეს საზოგადოება ისევ ისე გამოიყენეს, როგორც აქამდე არაერთგზის, ეს საზოგადოება ისევ გააცხოველეს, ააღელვეს, მაგრამ მხოლოდ აპლოდისმენტების მისაღებად. ამ საზოგადოებაზე არავის უფუქრია, ის მხოლოდ იმისთვის დასჭირდა, რომ სტადიონზე, სანამ წრეს მოხაზავდნენ, დიდების გუგუნი გაეგონათ. ამ ბრძოლამ არაფერი მოგვცა. ოპოზიციურ ძალთა გაერთიანებამ განვითარების გზაზე წინ ერთი ნაბიჯიც ვერ გადაგვადგმევინა. ეს რომ ასე იყო, დღეს და გუშინ არ მიგრძნია, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ ეს ისტორია ყველაზე კომპარულ აბსურდს დაემსგავსებოდა და მოძრაობა, რომელიც საქართველოს გაბრწყინების იდეით გახლდათ ინიცირებული, საბალოოდ პირდაპირ კახა თარგამაძემდე მივიღოდა და ქართველი თანამედროვე გმირების პანთეონს რკინის ბატონი შეემატებოდა. ჩემგან განსხვავებით, ამ მოძრაობის, უბრალოდ და უკომენტაროდ, ბევრს სჯეროდა და ეს ძალიან ბევრი იმ დიდი დეპრესიისთვის გაიმეტეს, რომელიც ამჟამინდელ უიმედობას და გამოსავლის არარსებობას მოსდევს. დღეს ისევ ისე დამემართა, როგორც ამ ბოლო დროს

ხშირად - პიკასოზე უნდა დამეწერა... მაგრამ პიკასოს თარგამაძე ვარჩიე და ჩემი დღევანდელი აბსურდული ტრაგიზმიც ამაში მდგომარეობს. თუმცა პოლიტიკური ელიტის არჩევანი ჩემსაზე ბევრად რთული და მძიმე აღმოჩნდა. მათ მეტად ძვირფასი გაიღეს, ძვირფასი იმ ქართველობისთვის, რომელიც ხსნას თუ განვითარებას მათში ხედავდა. ცხადია, ძვირფასი ქვეყნისთვისაც, რომელსაც უთუოდ სჭირდება ის ოპოზიცია, ხელისუფლებაზე მეტად რომ არ შეეშინდება ლუსიტრაციის. პიკასო მაპატიებს და ეროვნული მუზეუმიც, რომლის პროექტიც პიკასო საქართველოში ნამდვილად საჭიროებს ჩვენს ქალაქში გაპიარებას, რა ძალიან სასაცილოც არ უნდა იყოს ეს. უნდა მაპატიონ, მე ხომ გუშინ, ძილის წინ ჩამძახეს ყურში, იმ კომმარს, რაც ახლა არის ქვეყანაში, თარგამაძის და შევარდნაძის ხანა ნამდვილად ჯობდაო და ეს ისე ხმამაღლა და ამაყად განაცხადეს ლამაზი საქართველოს მაშენებლებმა, ნამდვილად ვეღარ დავიძინე, მიუხედავად იმისა, რომ სიზმრები უფრო რეალისტურად მეჩვენება, ვიდრე ის, რაც საქართველოში დღეს ხდება. თუ ჯერ კიდევ ზამთარში ჩვენი ხელისუფლების კრიტიკა ჯანმრთელ და ლოგიკურ პროცესად გვეჩვენებოდა, დღეს ეს თემა სასაცილოა, რადგანაც დღეს ძველმა ფობიებმა გაიღვიძეს, ფობიებმა, შიშებმა, რომლებიც პირდაპირ კავშირშია შევარდნაძის საქართველოსთან. აი, ეს შიშები მოგვართვა ახალმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, როცა, არც მეტი და არც ნაკლები, რკინის კაცთან ჩავგახუტა. ჩვენ გვაოცებდა სასამართლოს ორმაგი სტანდარტები და ამაზე გვსურდა გვედავა,

მაგრამ პრობლემური კიდევ სხვა ტიპის ორმაგი სტანდარტები გავგვისდა - ქართველი ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ხმამაღლა ამბობენ, რომ მათი პირადი საქმეა ვის შეხვდებიან და სად შეხვდებიან. ამ დროს სწორედ ამ პოლიტიკოსებს სურთ იმ ძალაუფლების მოპოვება, რომელიც მათ მოქალაქეების არჩევანისა და ქვეყნის ორიენტირების განსაზღვრის უფლებას მისცემთ. ისინი კი აქვე გვაჩვენენ, რომ მათი ცხოვრება მათია, მაგრამ ჩვენი მომავალიც ამავედროულად მათი უნდა გახდეს. აბსურდული კომმარი იქამდე მივიდა, რომ მეორე ეროვნული მოძრაობის ტელევიზიამ (რომელმაც თავისუფალი მედიის ილუზია ერთი დღითაც ვერ შეგვიქმნა და ზუსტად იმას აკეთებს, რასაც ხელისუფლების ტელევიზიებამ ნოდებულთ ედავება), თარგამაძის რეაბილიტაცია დაიწყო და შესაბამისად, ძალაღობა ერთი მიზნით - ისე შეგვაძლოს ყოველივე არსებული, რომ მოგვენატროს შევარდნაძე. ამ წერილს ლოგიკურ დასკვნას ვერ გავუკეთებ, ამ ტიპის აბსურდს გამოსავალი არ აქვს, თუმცა ამ ტიპის აბსურდი ჯერ არავის დაუწერია, ქართველებმა კი შევძელით. ერთადერთი, რასაც განვიცდი, დანაშაულის გრძნობაა. ამის მიზეზი ათასი მაქვს, მაგრამ ერთი განსაკუთრებული: რატომ არ მივიღე ანტიკულტურული შოკი მაშინ, როცა თვეების წინ ვუსმენდი, როგორ ეალერსებოდა მომღერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი გაჩეჩილაძე ვინმე თიკა კანდელაკს, როგორ აქებდა და ეთაყვანებოდა მას (არ ვიცი რისთვის, ეს ქალბატონი ბოლო წლებში რუსეთის პრეზიდენტებს ღია ეთერში მოუწოდებს საქართველოს, მისი მეორე სამშობლოს, გათავისუფლებას) და შემდეგ, იგივე საკნიდან, იმ ქართველ ხელოვანებს ამთრახებდა, რომლებმაც მხარეებს დიალოგისკენ და რაციონალური აზროვნებისკენ მოუწოდეს. მაშინ რომ ტელევიზორი გამოგვეერთო და ცოტა უფრო მკაცრი და მომთხოვნი ვყოფილიყავით, მაშინ რომ გავჩვენოდა პრეტენზია ღირსებაზე, საღ აზრზე და არ გვენთხია ბოღმა ყველაზე, ვინც ფიქრისკენ მოგვიწოდებდა, დღეს ასეთი შეუარაცყოფილები და დეპრესიისგან დაღუშებული არ ვიქნებოდით. კვირას გამოფენაზე აუცილებლად უნდა წავიდეთ, ანდა სხვა დღეებში. პიკასოს გამოფენა 2 აგვისტომდე თბილისში იქნება. მერე კიდევ მოხდება რაიმე საინტერესო, კიდევ და კიდევ, მაგრამ საქართველოში ლუსიტრაციის შესახებ კანონს კიდევ დიდხანს არავინ მიიღებს და რაც ყველაზე უფრო მტკივნეულია, ამ კანონს არც არავინ მოითხოვს.

კომენტარები მთავარზე

რა პრობლემაა

ლაშა ხუდაძე

ყველაზე ბევრჯერ ეს სიტყვები გაისმა გუშინწინ... მართლაც, რა პრობლემაა თვეობით ორმოში მჯდომი მძევლები... ბილბორდები - "გატაცებულია 500 დღის წინ", "მძევლობის 1000 დღე"... რა პრობლემაა წითელი ზონა "პანკისი"... ვილას გვახსოვს, რა დროს ესაა! რა პრობლემაა შსს-ს ფანჯრებიდან გადმოცევილი ხალხი... რა პრობლემაა რუსი კაგებშნიკები - ქართული გვარებით! რა პრობლემაა "რკინის კაცი", ან "აჭარის ლომი" (თავი პრეზიდენტად რომ ჩაიწერა აჭარის კონსტიტუციაში)... რა პრობლემაა, როცა ვილაცას გაიტაცებენ, ორმოში ჩააგდებენ, შენ კი გამოსასყიდის ნილში ხარ, და თან მინისტრიც ხარ ამ დროს... რაღა დროს ესაა, მთავარია, ჩემნაირად გძულდეს ამჟამინდელი სისხლისმსმელები! შეგინდობ, ყველაფერს შეგინდობ, იმ ორმოებსაც და იმ მძევლებსაც, და იმ ფულსაც, ქართველთა ჩხერაობისგან გაკეთებულს... რა პრობლემაა თავისუფლებისათვის და სამართლიანობისათვის ბრძოლა ქართულგვარებიან რუს კაგებშნიკებთან, ნამდვილ (ნამდვილ და არა სავარაუდო!) მკვლელებთან და გამტაცებლებთან ერთად... რა დროს ამათი ცოდვებია! ქვეყანა უნდა გაერთავისუფლოთ! რა პრობლემაა... ცხონებული ქურდებიც ხომ აძლევდნენ ფულს ეკლესიას (ახლა კი, როგორც ცნობილია, სამოთხეში გახლავან და არფეხზე და ფლეიტებზე უკრავენ), - თუკი ქვეყნისთვის უკეთესი იქნება (ანუ თუ მ. სააკაშვილი გადადგება და თავს აღარ ვიგრძნობთ შეურაცხყოფილებად და ჩარეცხილებად), რატომ არ უნდა ავიღოთ ფული ემ-მაცისგანაც? რა პრობლემაა... დღეს ამწუთიერი სიძულვილია აქტუალური და "რკინის კაცსაც" შემოვიამხანაგებთ, ხვალ, როცა ხვალინდელი სიძულვილი დაგვიდგება დღის წესრიგში, დონაძისმაგვარ ჟურნალისტებსაც გამოვიყენებთ... რა პრობლემაა... მაინც გვაგინყდება და... ძველი ცოდვები ხომ ძალიან უინტერესოა! ეგ აღარ გვაღელვებს... და, გულწრფელად რომ ვთქვათ, ის ორმოები, ის მოკლული მძევლები და ფანჯრებიდან გადმოცევილი ხალხი არც მაშინ გვაღელვებდა დიდად... და არც ახლა გავბრაზდებოდით რამეზე, ჩვენ სპექტაკლებზე რომ დადიოდეთ, ჩარეცხილები რომ არ გეწოდებინათ და ფერებაში, ქებაში, დიდ ფერებაში და ქებაში, ფერებაში, ფერებაში, ფერებაში რომ ამოგვხადათ სული... მეტი რა უნდა შენს საწყალ ინტელიგენციას... შენს პატარა შინაურ ცხოველს - არტისტულ საზოგადოებას... თუ არ მოეფერები, ხომ იცი, დაგპორტყნის... თუ, მგონი, მაინც არის ერთი პატარა პრობლემა! ჩვენი ადგილობრივი შეურაცხყოფილები, თუკი მაინც დაინახავენ პრობლემას, დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ამ მხრივ: "ფარდები მაინც დაეხურა იმ სასტუმროს ნომერში, არ უნდა იცოდეს, რომ მთელი მსოფლიო ვ. მერაბიშვილ-ფუშეს შპიონებითაა საცეს!"...

საქართველოს საგადასახადო-საბაჟო აკადემია აცხადებს კონკურსს შემდეგი აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობების დასაკავებლად

ინჟინერიის ფაკულტეტი

სრული პროფესორი 1 საშტატო ერთეული, ასოცირებული პროფესორი 1 საშტატო ერთეული, ასისტენტ-პროფესორი 1 საშტატო ერთეული;

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ფინანსები და საბანკო საქმე- ასოცირებული პროფესორი 1 საშტატო ერთეული, ასისტენტ-პროფესორი 1 საშტატო ერთეული;

სამართლის ფაკულტეტი

ადმინისტრაციული სამართალი სრული პროფესორი 1 საშტატო ერთეული, საერთაშორისო სამართალი ასოცირებული პროფესორი 1 საშტატო ერთეული.

ზოგადსაუნივერსიტეტო დისციპლინების დეპარტამენტი

ინგლისური ენა სრული პროფესორი 1 საშტატო ერთეული, ასოცირებული პროფესორი 2 საშტატო ერთეული, ასისტენტ-პროფესორი 2 საშტატო ერთეული;

გერმანული ენა, ასოცირებული პროფესორი 1 საშტატო ერთეული.

ქართული ენის ფილოლოგია სრული პროფესორი 1 საშტატო ერთეული, ასოცირებული პროფესორი 1 საშტატო ერთეული.

ისტორია სრული პროფესორი 1 საშტატო ერთეული, ასოცირებული პროფესორი 1 საშტატო ერთეული; ასისტენტ-პროფესორი 1 საშტატო ერთეული.

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი 1 საშტატო ერთეული

მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება, კომპიუტერული საოფისე პროგრამებისა და უცხო ენის (ინგლისური) ცოდნა, უმაღლესი განათლების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების ცოდნა, უნდა გააჩნდეს კარგი საკომუნიკაციო უნარები, შეეძლოს ჯგუფთან მუშაობა, პასუხისმგებლობის გრძნობა. მუშაობის გამოცდილება განათლების სფეროში.

ფუნქციები:

- სასწავლო და სამეცნიერო პროცესის მონიტორინგი, შეფასება და რეკომენდაციების მომზადება, შეფასების ანგარიშების შედგენა და დანიშნულებისამებრ წარდგენა, აკრედიტაციის პროცესისათვის მომზადება, ურთიერთობები განათლების სამინისტროსთან და განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრთან, გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრთან, უცხოეთის და საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან, სასწავლო და სამეცნიერო პროცესის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, კურიკულუმებზე და სილაბუსებზე დასკვნების მომზადება, მობილობის დასკვნების მომზადება, მისაღები კონტიგენტის განაწილება ფაკულტეტებსა და სწავლების საფეხურების მიხედვით, კანონითა და სამსახურის დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

მუშაობის პირობები: ყოველდღე კვირის გარდა 9.30 დან 17.30-მდე

ხელფასის ოდენობა: 450 ლარი.

მოთხოვნები აკადემიური პერსონალისადმი:

1. სრულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის 6 წლის გამოცდილება;

2. აკადემიის ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის

აკადემიური ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის 3 წლის გამოცდილება;

3. აკადემიის ასისტენტ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებული პირი ან დოქტორანტი.

პროფესორის სავალდებულო საათობრივი დატვირთვაა 6 აკადემიური საათი კვირაში.

შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ფაქტობრივად ჩატარებული სამუშაოს მიხედვით, თუმცა სრული პროფესორისათვის, სრული დატვირთვის შემთხვევაში არანაკლებ 360 ლარისა, ასოცირებული პროფესორისათვის სრული დატვირთვის შემთხვევაში არანაკლებ 288 ლარისა, ასისტენტ-პროფესორისათვის სრული დატვირთვის შემთხვევაში არანაკლებ 240 ლარისა.

აკადემიური თანამდებობების კონკურსში მომანილ კანდიდატებმა საკონკურსო კომისიას 2009 წლის 15 ივლისამდე უნდა წარუდგინონ შემდეგი საბუთები:

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;

- რეზიუმე (CV) მიუთითეთ საკონტაქტო ინფორმაცია და დაადასტურეთ ხელმოწერით.

- სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (ბოლო 5 წლის განმავლობაში, წლების მითითებით);

- კვალიფიკაციისა და აკადემიური ხარისხის/წოდების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები (დოქტორანტებმა - 2008 ან 2009 წელს გაცემული ცნობა დოქტორანტურიდან);

- პირადობის მოწმობის ასლი;

- ნაშრომების ეგზემპლარები ან ასლები, წიგნებისა და მონოგრაფიების ყდის

ქსეროასლები.

- არჩეული დისციპლინების სილაბუსები

ადმინისტრაციული თანამდებობების კონკურსში მომანილ კანდიდატებმა საკონკურსო კომისიას 2009 წლის 5 სექტემბრამდე უნდა წარუდგინონ შემდეგი საბუთები:

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;

- რეზიუმე (CV) მიუთითეთ საკონტაქტო ინფორმაცია და დაადასტურეთ ხელმოწერით.

- განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები;

- პირადობის მოწმობის ასლი;

- 1 ფერადი ფოტოსურათი 3X4;

- ცნობა ნასამართლეობის შესახებ;

- ცნობა ნარკოლოგიური ლაბორატორიიდან.

კონკურსი დაიწყება 2009 წლის 5 სექტემბერს, შედეგები გამოცხადდება 2009 წლის 15 სექტემბერს.

განცხადებები შეგიძლიათ წარუდგინოთ საკონკურსო კომისიის სამდივნოს მისამართზე; თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 22. მე-4 სართული, ოთახი 406, მენეჯერი ადმინისტრაციულ დარგში (ქ-ნი შორენა ხუბუნაია) ტელ: 40-29-46. ელ-ფოსტა: tax-cus-toms-academy@yahoo.com

მონეკვა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი

კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება: P41198-NCB-1-30

ქალაქ ფოთის საკანალიზაციო N9 და N12 სატუმბო სადგურების რეაბილიტაცია

საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 24 ივლისი

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთ ხსენებული პროექტის დასაფინანსებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ("დამკვეთი") ინვესტ საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში ქალაქ ფოთის საკანალიზაციო N9 და N12 სატუმბო სადგურების **სარეაბილიტაციო სამუშაოების** განსახორციელებლად ("სამუშაოები").

სამუშაოები მოიცავს არსებული კანალიზაციის ცენტრალური სატრანზიტო სატუმბო სადგურების (N9 და N12) ტექნოლოგიური, არქიტექტურულ-კონსტრუქციული, ელექტროტექნიკური ნაწილების სრულ რეაბილიტაციას.

N9 (მიწის ზედა ნაწილი 200 მ2, ზომებით 12.5X16 მ, h=4.2 მ, მიწისქვეშა ნაწილი d=16 მ) და N16 (მიწის ზედა ნაწილი 81 მ2, ზომებით 9X9 მ, h=4.2 მ, მიწისქვეშა ნაწილი d=9 მ) სატუმბო სადგურების შენობების რეაბილიტაცია მოიცავს დაზიანებული იატაკების, სახურავების, კარ-ფანჯრების, გისოსების, ბაქნების და კიბეების შეცვლას, კედლების და ტიხრების შელესვას და შეღებვას; მიწისქვეშა ნაწილში ბეტონის კედლების და ძირის გასუფთავებას დაკეწვნას და ტორკრეტირებას - 658 მ2, ლითონკონსტრუქციების, სხვადასხვა დიამეტრის მილგაყვანილობის და სანტექნიკური მოწყობილობების მონტაჟს, სავენტილაციო ჰაერსაღებების მონტაჟს.

ასევე გათვალისწინებულია:

საკანალიზაციო ტუმბოაგრეგატების მონტაჟი ელექტროძრავების და მართვის კარადების ჩათვლით:

- Q=24583/სთ H=27.3მ - 3 ცალი;

- Q=13583/სთ H=29.5მ - 3 ცალი;

- Q=3.583/სთ H=6მ - 2 ცალი;

სატუმბოების შენობების შიგა ელექტროგაყვანილობა - დაბალი ძაბვის კაბელები 770 მ, განათების მოწყობა და სვადასხვა ელექტრო მოწყობილობების მონტაჟი;

სატუმბოების გარე ელექტრომომარაგება, მაღალი ძაბვის კაბელები - 2500 მ, მაღალი ძაბვის საყრდენები 11 ცალი, ასევე ძაბვისა და დენის ტრანსფორმატორები, გამთიშველები და იზოლატორები;

სავენტილაციო დანადგარების (ელკალორიფერების ჩათვლით) მონტაჟი:

- 13600 მ3/სთ წარმადობის - 1 კომპლექტი;

- 4640 მ3/სთ წარმადობის - 2 კომპლექტი;

რკ/ბეტონის (d=1200 მმ) საკანალიზაციო კოლექტორის მოწყობა 75 მ, ტრანშეაში ნემსაფილტრებით წყალამოღების გათვალისწინებით.

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს **6 თვეს**.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:

- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ **1,0** მილიონი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნე-

ბა საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;

- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ **3,9** მილიონი ლარი;

- ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს **1,3** მილიონი ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგარდობა არ არის შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;

- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;

- კონკურსის მონაწილემ უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლოს აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთეულთან პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო

IV სართული, ოთახი 405

ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15

ფაქსი: (+995-32) 48-45-55

ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შეძენა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2,

თბილისი, საქართველო

უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)

ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)

SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY

SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია **26,000** ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის **24 ივლისის 12:00** საათისა.

საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის **24 ივლისის 12:00** საათზე იმ კონკურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მოისურვებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.

სპორტბი

შერმადინმა ბერძნული გამოცდა წარმატებით ჩააბარა

გიორგი შერმადინი კალათბურთელთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებზეც ქართველი გულშემატკივარი და კალათბურთის სპეციალისტები უდიდეს იმედს ამყარებენ. ალბათ შორს არ არის ის დღე, როდესაც შერმადინს მსოფლიოს საუკეთესო საკალათბურთო ლიგაში - NBA-ში ვიხილავთ. თუმცა სანამ ახალგაზრდა ქართველი ცენტრი ოკეანის მიღმა გადავიდოდეს, ის ევროპაში ცდილობს ოსტატობის დახვეწას. გასულ სეზონში ბერძნული პანათინაიკოსის ღირსებას იცავდა. სწორედ ამ გუნდმა მოიგო საკალათბურთო ევროლიგა. ბერძნულ გრანდში გიორგის დიდი სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონია, თუმცა გუნდთან ერთად სამი ტიტული მოიგო.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ახალგაზრდა კალათბურთელის ინტერვიუ, რომელსაც ჩვენს მკითხველსაც ვთავაზობთ.

- ახლა, როცა სეზონი გავლილია, ფიქრობ თუ არა, რომ პანათინაიკოსში შენი გადასვლა გამართლებული იყო?

- მართალია, ხშირად არ მიწევდა თამაში, მაგრამ მთლიანობაში კმაყოფილი ვარ. უმაღლესი დონის სპეციალისტები გვაეარჯიშებდნენ, პირობები იდეალური იყო, ყოველდღე ისეთ ცენტრებთან მიწევდა პაექრობა, როგორებიც ნიკოლა პეკოვიჩი და მაიკ ბატისტი არიან.

- იქნებ ჯობდა, შედარებით სუსტ გუნდში გადასულიყავი და მეტი სათამაშო დრო გქონოდა?

- შეიძლებოდა, მაგრამ ევროპის გრანდში გადასვლაზე უარის თქმა ძნელი იყო. თან ჯერ ახალგაზრდა ვარ, სასწავლო ბევრი მაქვს და ძლიერ გუნდში ალბათ უფრო მეტს ვისწავლი. ევროპის ვარსკვლავების გვერდით ყოფნა და მათთან ვარჯიში დიდი სკოლაა.

- როგორ მიგიღეს პანათინაიკოსში, როგორ მოერგე იქაურობას?

- ჩვეულებრივად, კეთილგანწყობით დამხვდნენ. თავიდან პირადი მწვრთნელი მაგარჯიშებდა. პანათინაიკოსს ოთხი მწვრთნელი ჰყავს და როცა გუნდი გასვლით თამაშებზე მიდიოდა, მე და კიდევ ორი ახალბედა ვრჩებოდით და ერთერთი მწვრთნელი გვიხსნიდა იმ კომბინაციებს, რომლებსაც ჩვენი გუნდი მატჩებისას იყენებდა.

- ესე იგი, გასვლითი თამაშებისას არ დაჰყევბოდი გუნდს?

- პირველი რამდენიმე კვირა - არა. მერე კი დავეყვებოდი, მაგრამ იყო ტურნები, როცა სამ კალათბურთელს გვტოვებდნენ. სულ თხუთმეტი ვიყავით და ან ყველანი მივდიოდით, ან 12 მოთამაშით მიემგზავრებოდნენ.

- დებიუტსაც კარგა ხანს ელოდი...



გიორგი შერმადინი

- ველოდი და არც გამკვირვებია. ისეთ გუნდში ვიყავი, რომ ნებისმიერი ხუთეულის წევრი თუ სათადარიგო ვარსკვლავი იყო, მე კი - გამოუცდელი ახალგაზრდა. თუმცა კმაყოფილი ვარ, რომ რამდენჯერაც გამიყვანეს მოედანზე, ერთხელაც არ შემორცხვენია თავი და სპეციალისტებისგან სულ მაღალ შეფასებას ვიღებდი.

- ვინ გაფასებდათ?
- ყოველი მატჩის შემდეგ მოთამაშეებს ათბალიანი სისტემით აფასებენ ჟურნალისტები. სულ ხუთ მატჩში მივიღე მონაწილეობა და არც ერთხელ არ დამიმსახურებია დაბალი შეფასება. ესეც რომ არ იყოს, თავად მწვრთნელები იყვნენ კმაყოფილი და მოედანზე ყოველი გასვლის შემდეგ მაქებდნენ. საშუალო მაჩვენებლები რომ დავიანგარიშოთ, გუნდში მეორე ვიყავი მოხსენებში, ხოლო მეხუთე - ქულებში.

- იმ ხუთი მატჩიდან რომელი იყო შენთვის ყველაზე დასამსოვრებელი?

- პირველი. შევედი თუ არა, წუთიც არ იყო გასული, რომ ძალიან ლამაზად ჩავტენე. პანათინაიკოსის ლიტველი გამთამაშებელი, რომელიც იმ მომენტში სათადარიგოთა სკამზე იჯდა, წამოხტა და სარეკლამო ბანერი აათამაშა - ასე გამოხატა აღტაცება ჩემი ჩატენილით. ორიოდ წუთში ისევ ჩავტენე სულ 6 ქულა მოვავროვე. უფრო შედეგიანი მატჩი ვითამაშე მოგ-

ვიანებით, ოლიმპია ლარისას წინააღმდეგ, თუმცა პირველს მაინც სხვა განცდა ახლდა.

- ოლიმპიასთან დიდხანს გათამაშა მწვრთნელმა, თუმცა მერე ისევ სათადარიგოდ გაგამწესა.

- ამ მატჩის წინა დღეს ჟელკო ობრადოვიჩმა მითხრა, მზად იყავი, ხვალ უნდა გათამაშო, თანაც ბევრიო. ისე გამოვიდა, რომ ყველაზე მეტი - 29 წუთი ვითამაშე. ერთი მოხსნა დამაკლდა ორმაგ დუბლამდე. სულ 12 ქულას და 9 მოხსნას მოვუყარე თავი.

- შემდეგ დადგა უქმობის პერიოდი, პლეი-ოფი დაიწყო...

- ეს ძალიან სამწუხარო იყო, მაგრამ გავგებით შევხვდი. პანათინაიკოსი გადამწყვეტ მატჩებში ჩაერთო და მხოლოდ დიდი გამოცდილების მოთამაშეები სჭირდებოდა. მწვრთნელებმა მაინც გამომიწახეს საქმე - შენი დახმარება გვჭირდება: ოლიმპიაკოსის ცენტრის იღეთებით უნდა ითამაშო და ამით ვარჯიშებზე ჩვენს მეფარეებს დაეხმარო. ოლიმპიაკოსი მთავარი კონკურენტი იყო პანათინაიკოსისთვის როგორც საბერძნეთის ჩემპიონატში, ისე ევროლიგაზეც. მათი ცენტრის ერთ-ერთი მთავარი იარაღი ლიფსო-სროლები იყო. მეც კარგად მეხერხება ასეთი სროლა და ვარჯიშებზე პეკოვიჩსა და ბატისტს ვეპაექრებოდი. ბოლოს ისე მოხდა, რომ ოლიმპიაკოსი ევროლიგის ნახევარფი-

ნალშიც დავამარცხეთ, საბერძნეთის ჩემპიონატის ფინალურ სერიაშიც და ქვეყნის თასის ფინალშიც გავამწარეთ.

- ყველაზე ახლოს რომელ კალათბურთელთან იყავი?

- სერბ დუშან კეჟმანთან დავმეგობრდი. მას ახლაც ვეხმიანები, ტელეფონით ხშირად ვკითხულობთ ერთმანეთს. ყველა დანარჩენთანაც ნორმალური დამოკიდებულება მქონდა. ერთად ვვახშმობდით რესტორანში, თუმცა კეჟმანთან უფრო ახლოს ვიყავი.

- პანათინაიკოსში ეს სეზონი შენთვის, ასე ვთქვათ, გამოსაცდელი იყო, და როგორც ვიცი, გამოცდა წარმატებით ჩააბარე...

- გასული სეზონი მართლაც გამოსაცდელი იყო. ჩასვლისას გარანტირებული ოთხწლიანი კონტრაქტი არ გამიფორმეს. მქონდა 1+3-წლიანი ხელშეკრულება და გუნდს უნდა გადაეწყვიტა, გამიგრძელებდა თუ არა კონტრაქტს. როგორც ვთქვი, პანათინაიკოსმა გამოიყენა ხელშეკრულებით მინიჭებული უფლება და სამი წლით დამტოვა გუნდში.

- როგორ დაშორდი ათენელებს, როდის გელიან ისინი?

- არაფერი უთქვამთ. იციან, რომ საქართველოს ნაკრებში მაქვს თამაშები და კარგა ხანს ვერ ჩავალ.

- ნაკრების თემასაც მივაღექით. რას იტყვი?

- რომელ ნაკრებზე?
- ჯერ ახალგაზრდულზე, რომელშიც შენც გიწევდა თამაში, თუმცა...

- მიწევდა და მეც ვემზადებოდი, რომ ახალგაზრდულს დავხმარებოდი, მაგრამ ეროვნული ნაკრების ინტერესები უფრო მაღლა დგას. ჩვენმა მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა გადაწყვიტა, რომ მე წლუელს მხოლოდ ეროვნულში მეთამაშა და სანინაღმდეგო არაფერი მაქვს. რაც შეეხება ახალგაზრდულს, ვთვლი, რომ უჩემოდაც შესწევს ძალა, A დივიზიონში გადავიდეს, რადგან პერსპექტიული მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული. 18 წლამდელთა ნაკრებიდან ოთხი ძლიერი მოთამაშე დავმატათ: თორნიკე შენგელია, გიორგი შარაბიძე, ნიკა მეტრეველი და კოკა ტომარაძე.

- შენი აზრით, ეროვნულ ნაკრებს როგორი შანსი აქვს A დივიზიონში გადასასვლელად?

- ახალგაზრდულზე გაცილებით უკეთესი შანსი, რომლის გამოუყენებლობა არ შეიძლება. მჯერა, თბილისში დარჩენილ ოთხივე მატჩს მოვიგებთ და მერე პლეი-ოფშიც უნდა ვიყოჩალოთ.

სკოლბურთი 2009

წალენჯიხა ჩემპიონია!

15-19 ივნისს ბათუმმა უმასპინძლა სკოლბურთი 2009-ის ფინალურ ტურნირს, რომელშიც საქართველოს 16 სკოლის გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ფინალურ შეხვედრაში წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიას საჯარო სკოლის გუნდმა წალენჯიხამ ჩხორწყუს დევნილთა სკოლის გუნდი აფხაზეთი პენალტების სერიაში 6:5 დაამარცხა. დაძაბული ფინალური მატჩი ფრედ - 2:2 დასრულდა.

სკოლბურთში საქართველოს თასის გათამაშება წლუელს მეოთხედ ჩატარდა. შესარჩევი ტურნირი მთელი ქვეყნის მასშტაბით თითქმის ოთხ თვეს მიმდინარეობდა - შეჯიბრებაში დაახლოებით 1700 სკოლის გუნდი მონაწილეობდა. ფინალურ ეტაპზე გავიდნენ: ვარკეთილი, ქუთაისი, ონი, ბათუმი, თბილისის 52-ე სკოლა, ბოლნისი, თბილისის 147-ე სკოლა, ახალციხე, თბილისის 174-ე სკოლა, ხაშური, მცხეთა, გურჯაანი, კრწანისი, აფხაზეთი, წალენჯიხა და ოზურგეთი.

16 გუნდი 4 ოთხგუნდიან ჯგუფში იყო განაწილებული. პირველ-მეორე ადგილებზე გასულები 1/4 ფინალში გავიდნენ, ნახევარფინალებში კი აფხაზეთმა ბოლნისს სძლია 1:0, წალენჯიხელებმა კი მცხეთა 2:0 დაამარცხეს. მესამე ადგილი ბოლნისმა პენალტების სერიაში მოიგო - 3:1 (ძირითადი დრო 0:0).

სკოლბურთი 2009-ის ორგანიზატორებმა საუკეთესო მოთამაშეებიც დაასახელეს: საუკეთესო მეკარე - გიორგი პაპავა (აფხაზეთი); საუკეთესო მცველი - გიორგი ჯაყელი (ბოლნისი), საუკეთესო ფეხბურთელი - დენის გერგედავა (წალენჯიხა), მაყურებელთა სიმპათია - ლევან ბოკუჩავა (აფხაზეთი). ტურნირის ბომბარდირი გახდა ვარკეთილის გუნდის ფორვარდი გიორგი ბუნტური.

თასის მფლობელი წალენჯიხა ივლისის დასაწყისში თურქეთში, საერთაშორისო ტურნირზე - ალანია ქაფზე იასპარეზებს.

2006 წელს სკოლბურთის თასის გათამაშება მოიგო თბილისის 166-ე სკოლის გუნდმა, 2007 წელს ზუგდიდის პირველი საშუალო საჯარო სკოლის გუნდმა გაიმარჯვა, შარშან კი ამბროლაურის პირველი სკოლის გუნდმა მოიპოვა პირველობა.

ქართველი მსატეხი - ევროპის ლიგაზე

ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე შეხვედრაში მაკედონიის რენოვა 9 ივლისს ბელარუსის დინამოს უმასპინძლებს.

ამ მატჩს ქართველი მსაჯეები მოემსახურებიან ასეთი შემადგენლობით: ლაშა სილაგავა (მთავარი მსაჯე); ზურაბ ჯვარიძე, ზაზა ფიფია (ასისტენტები); მალხაზ ბუჟქლიშვილი (მეოთხე მსაჯე).

ელენე ტოკიოს საგზურისთვის

სრიალის საერთაშორისო კავშირმა მოციგურავეთა 2009-2010 წლების გრან-პრის ყველა ეტაპი დაგეგმა და სპორტსმენებიც გადაანაწილა, ვინ სად იასპარეზებს. გრან-პრი სულ 6 ეტაპისგან შედგება. თითოეულ მოციგურავეს მხოლოდ ორ ეტაპზე შეუძლია მონაწილეობის მიღება. შემდეგ დაითვლება ქულების ჯამი და გრან-პრის ფინალურ ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ სეზონის განმავლობაში საუკეთესოები. ელენე გედევანიშვილს გრან-პრის ორ ეტაპზე - პარიზსა (საფრანგეთი) და ლეიკ პლესიდში (აშშ) ერგო მონაწილეობა. პარიზის გრან-პრი სეზონის პირველი ეტაპია. შეჯიბრება 15-18 ოქტომბერს გაიმართება. ლეიკ პლესიდში ცნობილი ტურნირი სქეით ამერიკა 12-15 ნოემბერს ჩატარდება (ის გრან-პრის მე-5 ეტაპია). ფინალური გრან-პრი 3-6 დეკემბერს ტოკიოში გაიმართება.

19 წლის ქართველი მოციგურავე მსოფლიო რეიტინგში 1721 ქულით მე-15 ადგილზეა. კლასიფიკაციას კი იტალიელი კაროლინა კოსტნერი (3861 ქულა) ლიდერობს. მეორე ადგილზეა კორეელი იუ-ნა კიმია (3840), მესამეზე - იაპონელი მაო ასადა (3699). წლევანდელი სეზონის ბოლოს ელენემ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ლოს ანჯელესში გაიმართა, 162,48 ქულით მე-10 ადგილი დაიკავა. ორივე შედეგი (ქულები და ადგილი) მისი კარიერის საუკეთესო მიღწევაა.

კანდიდატებს მატაც დაემატა

იმის გამო, რომ ფრანკ რიბერის ბარსელონაში გადასვლის პერსპექტივა თანდათან ბუნდოვანი ხდება, კატალონიური კლუბი სათადარიგო ვარიანტებზე მუშაობას უფრო და უფრო აქტიურად იწყებს. ბარსას მიერ რობინიოთი დაინტერესების ამბავი ახალი არავისთვის აღარ არის. ცოტა ხნის წინ კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ევროპის საუკეთესო კლუბი ერთ-ერთ ვარიანტად ხუან მატას განიხილავს.

მიუნხენური კლუბის ხელმძღვანელობამ ბილდის საშუალებით კატეგორიულად უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისინი მზად არიან ფრანგ ფეხბურთელს შეელონ. იგივეს აცხადებს კარლ ჰაინც რუმენიგე: კლუბს ხუან ლაპორტამ, უბრალოდ, მომართა კითხვით, ხომ არ შეიცვალეთ აზრი რიბერის გაყიდვასთან დაკავშირებით.

დაახლოებით ასეთივე სიტუაციაა რობინიოს შემთხვევაშიც. როგორც მანჩესტერული კლუბის აღმასრულებელი დირექტორი გარი კუკი აღნიშნავს, მათ არა აქვთ ფეხბურთელის გაყიდვის სურვილი. მაგრამ ბარსას სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ სიტუაცია ერთ ევროპულ ტურნირზე ვერ მოხვდა.

რაც შეეხება ხუან მატას, მან გუშინ ესპანეთის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და თავი ცუდად არ წარმოუჩენია. 21 წლის გარემარბი მადრიდის რეალის აღზრდილია, მაგრამ პირველ გუნდში მხოლოდ ვალენსიას შემადგენლობაში უთამაშია. ჯერჯერობით ვალენსიური კლუბის პოზიცია ესპანური ფეხბურთის ერთ-ერთი იმედის გაყიდვაზე უცნობია.

ბეკენბაუერის მხარდაჭერა

მიუნხენის ბაიერნის მცველმა ლუსიომ კლუბის პრეზიდენტის ფრანკ ბეკენბაუერის მხარდაჭერა მოიპოვა. ის კლუბიდან 31 წლის ბრაზილიელი მცველის ლუსიოს გაშვების წინააღმდეგია. გავრცელებულმა ცნობამ ლუსიოს ნაცვლად ედსონ ბრაზილიდის გამოყვანის შესახებ ლუსიოს აღმფრთხილება გამოწვია. მან დაიქადამა, რომ, თუ ეს სიმართლეა, ის კლუბში ერთი წამითაც აღარ გაჩერდება. ბეკენბაუერმა ბილდთან საუბარში ლუსიოს დაუჭირა მხარი: ის ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი და ჩვენი საუკეთესო მცველია. ჩვენ მისი შენარჩუნება გვმართებს. ჩემი აზრით, მის ირგვლივ ატეხილი ხმაური გაუგებრობის ნიადაგზე წარმოიშვა და, რაც შეიძლება, მალე უნდა ჩავაცხროთ, როგორც კი ამ ეპიზოდის ყველა მონაწილე მიუნხენში იქნება. ახლა ლუსიო სამხრეთ აფრიკაშია, სადაც ბრაზილიის ნაკრებთან ერთად კონფედერაციის თასზე გამოდის. სამშაბათს იქითვე გაფრინდა ბეკენბაუერიც, რომელმაც ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის შეხვედრაში უნდა მიიღოს მონაწილეობა.

მხოლოდ უილბლობის გამო

კონფედერაციის თასის გათამაშების ნახევარფინალში ესპანელთა მარცხს ბარსელონას ნახევარმცველი ხავი უილბლობას აბრალებს.

დასანანია, რომ ტურნირის ფინალში ვერ ვითამაშებთ, რაც ასე ძალიან გვინდოდა. ამ მატჩში ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც ჩაფიქრებული გვქონდა. გუნდს ბევრი საგოლე მომენტი ჰქონდა, თუმცა, ვერც ერთი გამოიყენა. ნამდვილად გვცხვენია, მაგრამ არ შეიძლება ამ წარუმატებლობის შემდეგ ყოველმხრივ ნეგატიური დასკვნა გამოვიტანოთ. ეს კარგი გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენითვის. მთელი მატჩის განმავლობაში არ გვტოვებდა იმის გრძნობა, რომ მეორე ტაიმში გარდატეხას შევითანდით. სულ მეტოქის კარის მისადგომებთან ვიყავით, მაგრამ იღბალმა გვიმტყუნა, - აბობს ხავი.

ძანეტი კიდევ ერთ სეზონს ითამაშებს

ვეტერანი იტალიელი ნახევარმცველი კრისტიანო ძანეტი აცხადებს, რომ იუვენტუსში საკონტრაქტო ვადის ამოწურვამდე კიდევ ერთი წლის განმავლობაში იასპარეზებს.

კონტრაქტის თანახმად, იუვენტუსში კიდევ ერთი წელიწადი უნდა ვითამაშო და ქომაგებს მადლობა გადავუხადო ჩემდამი თბილი დამოკიდებულებისთვის. ისინი ყოველთვის, ტრავმისშემდგომ, ყველაზე რთულ მომენტებშიც ჩემთან ერთად იყვნენ. ახლა ყველაფერი კარგადაა და ერთი სული მაქვს, კიდევ როდის გამოვადგები გუნდს, - ამბობს ძანეტი.

ალბიოლი 15 მილიონად იყიდეს

სამეფო კლუბმა მორიგი ფეხბურთელი შეიძინა. ამჯერად ფლორენტინო პერესმა ვალენსიას მცველი, 23 წლის რაულ ალბიოლი იყიდა. ესპანური მედიის ცნობით, რეალმა ფეხბურთელში 15 მილიონი ევრო გადაიხადა. ალბიოლთან მადრიდელები ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებენ.

ფაბრეგასმა რეალი არ გამოორიცხა

ბოლო ხანს არსენალის ესპანელი ნახევარმცველი სესკ ფაბრეგასი უცნაურ განცხადებებს აკეთებს. ჯერ თქვა, ბარსელონაში მინდა თამაშო (ცნობისთვის, ფაბრეგასი ბარსელონელია), შემდეგ განმარტა, რომ ეს ნებისმიერი ფეხბურთელის სურვილია და სინამდვილეში არსენალის დატოვებას არ აპირებს. ახლა კი რეალში გადასვლაც არ გამოირიცხა, ოღონდ იქვე დაამატა, რომ არსენალის ერთგული იქნება მანამ, სანამ ამ კლუბში თავს ბედნიერად იგრძნობს.


ფაბრეგასთან გაზეთსაწინის ჟურნალისტმა ისაუბრა. ინტერვიუში სესკმა აღნიშნა, რომ თუ ის რეალში გადავა, ოჯახი მას გაუგებს.

- სატრანსფერო პერიოდში უამრავი ჭორი ვრცელდება. ამბობენ, თითქოს რეალის შემოთავაზებაც გაქვთ. ბარსელონაში დაბადებული და გაზრდილი ახალგაზრდისთვის რამდენად მისაღებია რეალში თამაში, შეეგუება ამას თქვენი ოჯახი?

- რა თქმა უნდა. თუ რეალში გადავალ, ოჯახი გამიგებს. ყველაფერი საკმაოდ მარტივადაა. ოჯახის წევრებს მე ვუყვარვარ, მათ ჩემთვის მხოლოდ კარგი უნდათ და სადაც ჩემთვის უკეთესი იქნება თამაში, ცხადია, იქ ვითამაშებ. მათი მხრიდან პრობლემა არ შემექმნება. რომელ კლუბშიც არ უნდა გადავიდე, ჩემს გვერდით იდგებიან. არა აქვს მნიშვნელობა, რა გადაწყვეტილებას მივიღებ. ეს გადაწყვეტილება მცდარიც რომ იყოს, ჩემიანები მხარს დამიჭერენ.

- ასე რომ, რეალში გადასვლას არ გამოირიცხავთ?

- ამ წუთში ეს გამორიცხებულია. ახლა არჩევანის წინაშეც კი არ ვდგავარ.



ფაბრეგასს სურს არსენალთან ერთად მოიგოს ტიტულები

- ასე რომ, არ ყოფილა შემოთავაზება არც ბარსელონიდან და არც რეალიდან?

- ოფიციალურ დონეზე - არა, თუმცა ჭორები მეც მესმის. როდესაც ორი ასეთი გრანდი შენით დაინტერესდება, ეს საამაყოა. თუ მართლა იქნება შემოთავაზება ორივე კლუბიდან, გამიჭირდება არჩევანის გაკეთება.

- არჩევანი ორ ესპანურ გრანდს შორის უნდა გაკეთდეს?

- არა, სწორედ ვერ გამიგეთ. არჩევანი არსენალსა და რომელიმე სხვა კლუბს შორის. საქმე ის არის, რომ არსენალში

მი თავს ბედნიერად ვგრძნობ და ჯერჯერობით არსად წასვლას არ ვაპირებ. ამ ბოლო ხანს უამრავი ჭორი გავრცელდა. ერთი რამ დაზუსტებით შემიძლია გითხრა. არ ვარ ის ადამიანი, რომელიც კლუბის გვერდის ავლით ვინმესთან მოლაპარაკებას გამართავს. თუ წასვლა გადაწყვეტიტე, კლუბის ხელმძღვანელებს პირდაპირ ვეტყვი. ფეხბურთში ყველაფერია შესაძლებელი. ვენგერს უდიდეს პატივს ვცემ, თუმცა ყველა ადამიანს საკუთარი გზა აქვს. ჯერჯერობით ჩემს მომავალს არსენალს ვუკავშირებ. გამოგიტყდებით,

ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, რომ არსენალი ტიტულის გარეშე რჩება.

- კრიშტიანუ რონალდუს ტრანსფერზე რას იტყვით?

- როგორც კრიშტიანუმ თქვა, მან იმიტომ დატოვა მანჩესტერი, რომ ამ კლუბთან ერთად მოსაგები აღარაფერი დარჩა. მე რადიკალურად განსხვავებულ მდგომარეობაში ვარ. სწორედ არსენალთან ერთად უნდა მოვიგო ტიტულები. თუ მეც აღმოჩნდი იმ ვითარებაში, რომ მეთოფეებთან ერთად ყველა ტიტულს მოვიგებ, შესაძლოა წასვლაზეც დავფიქრდე.

ტევესი სამი კლუბიდან ერთს აირჩევს



ტევესი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა

სიტის სურს. ქალაქელები მზად არიან, გამოისყიდონ კარლოსის კონტრაქტი, რაშიც 25 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდაა საჭირო. ამავე დროს ფეხბურთელს სთავაზობენ კონტრაქტს, რომლის მიხედვით ტევესი კვირაში 120 ათას გირვანქას მიიღებს. შემოთავაზება სოლოდურია. კვირის

დასაწყისში ისიც კი ითქვა, რომ თვის ბოლომდე ტევესი სიტისთან გააფორმებდა კონტრაქტს, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა. არგენტინელის შეძენა ლონდონის ჩელსის და კიდევ ერთ არაინგლისურ გუნდს სურთ.

ახლა ჩვენ სამი შემოთავაზება გვაქვს. ყველაფერს კარ-

გად ავწონ-დავწონით და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას. წინადადებით მოგვმართეს სიტიმ, ჩელსიმ და კიდევ ერთმა არაინგლისურმა გუნდმა, რომლის ვინაობის დასახელება ჯერჯერობით ნაადრევია, - განუცხადა ბრიტანელ ჟურნალისტებს კია ჯუბარიჩმა.

ბანცხაღება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია (მის 4600, ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ.№3) აცხადებს) ტენდერს, ქალაქ ქუთაისში, ცენტრალური და ზოგიერთი ქუჩებისა და მოედნების ვიდეო კონტროლის მონტაჟის სამუშაოების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია:

ვიდეო კონტროლის მონტაჟი ქალაქის ცენტრალურ ნაწილში:

(ცისფერყანწელთა ქუჩა, პუშკინის ქუჩა „ოლიმპიელთა სკვერის“ ჩათვლით, წმინდა ნინოს ქუჩა, ა.წერეთლის ქუჩა ეროვნული ბანკის ქუთაისის ფილიალის ადმინისტრაციული შენობის ჩათვლით, დაღმაშენებლის მოედანი, რუსთაველის გამზირი (სამეფო კომპლექსს „ოქროს ჩარდახსა“ და მდინარე რიონის სანაპიროს შორის არსებული სკვერის ჩათვლით, სამეფო კომპლექსი „ოქროს ჩარდახი“, მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიმდებარე ტერიტორია, თვითმმართველი ქალაქი-ქუთაისის ადმინისტრაციული შენობის (უკანა მხარე) და მე-3 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია), პირველი სკოლის მიმდებარედ არსებული (ყოფილი წულუკიძის სახელობის) სკვერი, თამარ მეფის ქუჩა იაშვილის ქუჩამდე, გ.ფანჯიკიძის ქუჩა, ფალიაშვილის ქუჩა შესახვევებით, ბროსეს ქუჩა. შისტემა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ორი სამართავი პუნქტით.

სატენდერო დოკუმენტაციათა პაკეტი მითითებული იქნება ტექნიკური პარამეტრები და განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობა (დეფექტური ქანები).

2. დაფინანსების წყარო: ქ.ქუთაისის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა მოიცავს ხელშეკრულების გაფორმებიდან 55 კალენდარულ დღეს.

მიწოდების ადგილია ქალაქი ქუთაისი.

4. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (დედანი და ასლი), დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 16 ივლისს 11 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: 4600, ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №1, ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური (მე-4 სართული), სატენდერო კომისიის აპარატი, ოთახი №8. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. თვითმმართველი პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან დიკლინაცია.

გ) ცნობა შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადავის) არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს მიერ);

დ) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მეშვიდე უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იქნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მიუღიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შესრულებული ქმედითუზარაზიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) ინდუქტორების რეგისტრაციის საბუთი.

5.3. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა სრულად გასტუმრებული ვადიანი გადასახადების შესახებ სახელმწიფოს წინაშე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციიდან)

დ) ინფორმაცია ანალოგიურ მიწოდებაზე გამოცდილების შესახებ, აღნიშნული პირის ანალოგიური შესყიდვის პროცედურების უკანასკნელი 3 წლის გამოცდილება შემდეგი მინაცემების წარმოდგენით:

№	ანალოგიური მიწოდების ჩამონათვალი კონკრეტული ობიექტების მითითებით	შემსყიდველის დასახელება, რეკვიზიტები	ხელშეკრულების ღირებულება	მიწოდების წელი

ე) ტენდერში მონაწილე პირის სპეციალისტთა კვალიფიკაცია და გამოცდილება

№	თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მეშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	მხოლოდ ანალოგიურ მიწოდებაზე გამოცდილება (წელი)

ვ) აუდიტის დახკენა ტენდერში მონაწილე პირის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ზ) წერილობითი დასტური სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, მასხედ რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირი არ არის შესული შესყიდვაში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

თ) ინფორმაცია ქვე-კონტრაქტორების აყვანის შემთხვევაში, ქვეკონტრაქტორების მიერ გასაცემი მომსახურეობის შესახებ

შენიშვნა:

ა) ინფორმაცია წარმოდგენილ იქნას შემდეგი ცხრილის სახით

	გასაწევი მომსახურების სახე	ქვე-კონტრაქტორის დასახელება, რეკვიზიტები	ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურეობის გაწევის გამოცდილება	შესრულების წელი და ღირებულება
1.				
	და ა.შ			

ბ) ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურეობის გაწევის გამოცდილების გრაფაში მითითებულ უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური მომსახურეობა.

გ) ამ განცხადების მე-5 მუხლის მოთხოვნები ეხება ქვე-კონტრაქტორებსაც

6. საკვალიფიკაციო ცნობები და მონაცემები შესაბამისი უწყებებიდან მიღებული უნდა იქნას მხოლოდ სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან მისი მიღების დასრულების ვადის და პერიოდის გათვალისწინებით.

6. აღნიშნულ შესყიდვაში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (სატენდერო წინადადების ფასის 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით), შესაბამისი საბანკო გარანტიების /ან სადასტურებელი გარანტიების წარმოდგენით

7. სატენდერო მოსაკრებლის 200(ორასი) ლარის გადახდის შემდეგ (სატენდერო მოსაკრებლის ანგარიში: მიმღების დასახელება-ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ქუთაისი, ანგარიშის №200122900, მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა, მიმღების კოდი-220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-300183174. გადახდის დანიშნულება-სატენდერო მოსაკრებელი), მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 17 ივნისის 10 საათიდან 15 ივლისის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №1, ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური (მე-4 სართული), სატენდერო კომისიის აპარატი, ოთახი №8.

8. შესყიდვაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

9. დაგვიანებით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

10. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას ტენდერში მონაწილის მიერ, ხელმოწერილი წინადადებები არ განიხილება.

11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება, აღტერნაციული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.

12. განცხადების 5.1, 5.2 და 5.3 პუნქტების მოთხოვნები შემდგომ დასწესდება არ ექვემდებარება.

13. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების დიპლომატიური ორგანოებიდან, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

14. ტენდერი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განსორციელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, საკონტაქტო პირი ნოდარ მიქაშვილი, მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №1 მე-4 სართ. ოთახი №8; ტელ 4-03-06; 4-01-64. ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

სს “ჩითახევი-ბორჯომის” აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ

სს ჩითახევი-ბორჯომის” დირექტორი საზოგადოების აქციონერებს იწვევს სს ჩითახევი-ბორჯომის” საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2009 წლის 16 ივლისს დღის 12 სა-ათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №1.

სს ჩითახევი-ბორჯომის” მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2009 წლის 5 ივნისი. დღის წესრიგი:

1. 2008 წლის წლიური ანგარიში:

- წლიური ანგარიშის წარმოდგენა სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად;

- მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

2. წარმოდგენილი ანგარიშის დამტკიცება;

3. 2009 წლისთვის საზოგადოების აუდიტორის არჩევა.

აქციონერებს დღის წესრიგის საკითხების შესახებ დანვრილებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სააქციო საზოგადოების დირექციაში.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან აქციაზე საკუთრების უფლების მქონე აქციონერები, თუ ისინი რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი ფასიანი ქაღალდების რეგისტრაციური შპს კაპიტალ-რეგისტრი”. მსურველებს ამ ფაქტის შემომწება შეუძლიათ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. „ 55, ტელ: 23-03-84.

სს ჩითახევი-ბორჯომის” დირექტორი,

ნუგზარ სულთანშვილი

25.06.2009წ



elite 2009
MODEL LOOK
GEORGIA

GET TO THE TOP
2009

დაიკყარი მწვერვალი!
გახდი მოდელი!

საპრიზო ფონდი
\$325 000

Tamar Shedania - Elite Model Look Georgia 2007



Elite Model Look Georgia 2009

სამოდელო სააგენტო "IC Model Management"-ი გიწვევთ საერთაშორისო სამოდელო ჯონჯის Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

ლინდა ევანგელისტა, სტეფანი სეიმური, ჯადეა შიფური, სინდი ჯოუფორი - მათ აიხიეს Elite Model Look-ი და გახდნენ ტოპ მოდელები.

13-22 წლამდე ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი შანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადდგით პიჩველი ნაბიჯი ტოპ მოდელობისაკენ!

გამაჩვენებელი გაემგზავნება Elite Model Look-ის საერთაშორისო ფინალზე, სადაც მას ელის ჯონჯა-ქტი სააგენტო ელიტან და **\$325 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შედანია და ანა ჯოვაჩი საქართველოდან უკვე თანამშრომლებენ სააგენტო ელიტან და წახმადებით ატარებენ საერთაშორისო სამოდელო კარიერას.

იჩქარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია!

მისამართი: ნიკო ნოზაძის №6 ყოველდღე 11.00 - 18.00 საათამდე (კვირის გახდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025; info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellook.ge • www.icmodels.ge



Anna Kovvach - Elite Model Look Georgia 2008

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური

გთავაზობთ:

ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

ჩვენი საქმიანობის პრიორიტატი ქალის ჯანმრთელობაა! თავი დაიცავით სარკვე ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან !!!

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარკვე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარკვე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდება 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდება 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით. გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩანერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;



საჯალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმოწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ————— 52 ლარი;
6 თვით ————— 26 ლარი;
3 თვით ————— 13 ლარი;
1 თვით ————— 4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;



ექსპაპატორები, საგზაო და სამშენებლო ტექნიკა



TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT

JCB-ს ოფისიური დილერი საქართველოში



ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.

☎ 24-47-44, 📠 24-47-44 (1219)

გარანტია:

1 წელი, სამუშაო საათების შეზღუდვად

ქალაქ ზესტაფონში რევაზ ლალიძის, მეგობრობის და ზაოროშის ქუჩების სარეაბილიტაციო, დავით აღმაშენებლის, ზაქარიაძის, სტაროსელსკის, ჭანტურიას, ასლანიკაშვილისა და წერეთლის ქუჩების შესაკეთებელი და დავით აღმაშენებლის, ზაქარიაძის, სტაროსელსკის ქუჩებზე საგზაო მიწისშენებებისა და გორაკიშენების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მისამართი ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ. N11) აცხადებს ღია ტენდერს მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ინვესტს ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვის ობიექტია:

ლოტი - ქალაქ ზესტაფონში რევაზ ლალიძის სახელობის ქუჩის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

II ლოტი-მეგობრობის სახელობის ქუჩის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

III ლოტი-ზაპოროჟიეს სახელობის ქუჩის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

IV ლოტი - დავით აღმაშენებლის, ზაქარიაძის, სტაროსელსკის, ჭანტურიას, ასლანიკაშვილისა და წერეთლის სახელობის ქუჩების ორმოული დამუშავება და შეკეთება.

დავით აღმაშენებლის, ზაქარიაძის, სტაროსელსკის სახელობის ქუჩებზე საგზაო მიწისშენებებისა და გორაკიშენების რეაბილიტაცია.

2. დღაფინანსების წყარო - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების სავალდებულო ვადაა 2009 წლის 25 სექტემბერი.

4. მიწოდების ადგილი: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი.

5. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე დალუქულ ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) ერთი დალუქული პაკეტი უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 16 ივლისს 9 საათიდან 14 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N11-სატენდერო კომისიის აპარატში (1 სართული). სატენდერო წინადადება გაიხსნება 2009 წლის 16 ივლისს 14 საათზე შემდეგ მისამართზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა, II სართული, ოთახი 22. ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწონ სატენდერო წინადადების გახსნას.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა, საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ბ) ცნობა იურიდიული პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

6.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

ბ) ინდ. მენარმის რეგისტრაციის საბუთი.

გ) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის გაკოტრების ან სანაციის საქმისწარმოება.

ბ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელ. ფოსტა, საბანკო რეკვიზიტები).

გ) ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან.

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

ე) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური სამშენებლო სამუშაოების შესახებ.

ვ) ინფორმაცია ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ, მათ შორის ანალოგიური საქმიანობის სფეროში.

7. პრეტენდენტის მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

შენიშვნა: სუბ-კონტრაქტორების აყვანის შემთხვევაში პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები მე-6 მუხლის მიხედვით.

8. ზემოთ აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

9. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 1%-ს ოდენობით, გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას. ასევე ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს ოდენობით.

10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს შეეძლება განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 15 ივლისის 17 საათამდე. 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (სატენდერო მოსაკ. კოდი 300193174 სახელმწიფო ხაზინის ანგარიში 220101222.ერთიანი საგადასახადო ანგარიში 200122900).

11. შესყიდვაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას. დაგვიანებით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება უკან პრეტენდენტს.

12. პრეტენდენტის მიერ ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ. N11 ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, მე-2 სართული სატენდერო კომისიის აპარატი (საკონტაქტო პირი მედეა ნანიტაშვილი. მობ: 893-92-72-39).

სატენდერო კომისია.



პანკაპალა პარაფილი
განვითარების ცენტრი

ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52 საფოსტო ინდექსი 0102;

აცხადებს ტენდერს ცენტრის მასალების ბეჭდვის მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტი – სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მასალების ბეჭდვა, კერძოდ: მასწავლებელთა სერტიფიცირების დამხმარე სახელმძღვანელო (3 ნაწილი), რობერტ ჯ. მაზანო და დებრა ჯ. ფიქერინგი „კლასის მართვა“, „ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში“, ფილმის სამუშაო რეგული „რა განაპირობებს სკოლების ეფექტურობას“, მენტორთა სახელმძღვანელო, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (რუსულ ენაზე), სახელმძღვანელო - „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“, მაძიებლობის პროექტის ანგარიში, სტატიები განათლების საკითხებზე, ჟურნალი „მასწავლებელი“ IV, V და VI ნომრები.

დაფინანსების წყარო – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები

შესასყიდი ობიექტის მოკლე ტექნიკური აღწერილობა:

№	მასალის დასახელება	ტირაჟი	მომსახურების გაწევის სასურველი ვადა
1	მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელო. 1-ლი ნაწილი. "განვითარების და სწავლის თეორიები"	2000	ნოემბერში დაკაბადონებული ვერსიის მიწოდებიდან 2 კვირის ვადაში
2	მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელო. მე-2 ნაწილი. "სწავლება და შეფასება"	2000	ნოემბერში დაკაბადონებული ვერსიის მიწოდებიდან 2 კვირის ვადაში
3	მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელო. მე-3 ნაწილი. "სასწავლო და პროფესიული გარემო"	2000	ნოემბერში დაკაბადონებული ვერსიის მიწოდებიდან 2 კვირის ვადაში
4	რობერტ ჯ. მაზანო; დებრა ჯ. ფიქერინგი „კლასის მართვა“	6000	სექტემბერში დაკაბადონებული ვერსიის მიწოდებიდან 2 კვირის ვადაში
5	"ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში"	6000	აგვისტოში დაკაბადონებული ვერსიის მიწოდებიდან 2 კვირის ვადაში
6	„რა განაპირობებს სკოლების ეფექტურობას“- ფილმის სამუშაო რეგული ჩანართით	6000	აგვისტოში დაკაბადონებული ვერსიის მიწოდებიდან 2 კვირის ვადაში
7	მენტორთა სახელმძღვანელო	5500	ოქტომბერში დაკაბადონებული ვერსიის მიწოდებიდან 2 კვირის ვადაში
8	მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (რუსულ ენაზე)	500	აგვისტოში დაკაბადონებული ვერსიის მიწოდებიდან 2 კვირის ვადაში
9	ICT სახელმძღვანელო - "ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში" ჩანართით	3000	სექტემბერში დაკაბადონებული ვერსიის მიწოდებიდან 2 კვირის ვადაში
10	მაძიებლობის პროექტის ანგარიში	500	ოქტომბერში დაკაბადონებული ვერსიის მიწოდებიდან 2 კვირის ვადაში
11	სტატიები განათლების საკითხებზე	6000	ნოემბერში დაკაბადონებული ვერსიის მიწოდებიდან 2 კვირის ვადაში
12	ჟურნალი "მასწავლებელი" 2009 წლის მეოთხე ნომერი (აგვისტო)	6000	აგვისტოში დაკაბადონებული ვერსიის მიწოდებიდან 1 კვირის ვადაში
13	ჟურნალი "მასწავლებელი" 2009 წლის მეხუთე ნომერი (ოქტომბერი)	6000	ოქტომბერში დაკაბადონებული ვერსიის მიწოდებიდან 1 კვირის ვადაში
14	ჟურნალი "მასწავლებელი" 2009 წლის მეექვსე ნომერი (ნოემბერი)	6000	დეკემბერში დაკაბადონებული ვერსიის მიწოდებიდან 1 კვირის ვადაში

ნაბეჭდი მასალა მოწოდებულ უნდა იქნეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

შესასყიდი ობიექტის დეტალური ტექნიკური აღწერილობა იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში (ტექნიკურ პირობებში).

წინასწარი ანაზღაურების მოთხოვნა დაკმაყოფილდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ფარგლებში, შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ.

